„ნიუ-იორკი“ 11 სექტემბრის ტერაქტთან ასოცირდება და ამ კავშირს კიდევ უფრო აძლიერებს ზომილის ცხვირის ნაწილში გამოყენებული 7 ტონა ფოლადის ნაშაბი, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის დროს აფეთქებული მსოფლიო საეაჭრო ცენტრის ლიფტინის კონსტრუქციაცაა ნარჩენების გაადნობით დაშავდა.

ახალი ზომილის სახელის შერჩევას სამხედრო-საზღვაო ძალების მდივანი გორდონ ინგლანდი ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორ ჯორჯ პეიტაკის წერილით ხელმძღვანელობდა, სადაც ის 11 სექტემბრის მსხვერპლთა ხსოვნის უკვლავსაფოფად ნიუ-იორკის სახელის გამოყენების წინადადებით გამოიღოდა.

გორდონ ინგლანდის თქმით, ტერორიზმთან ბრძოლაში ნიუ-იორკელთა თავდადება და გმირობა ის შთაგონება იქნება, რომელმაც ფლოტის მომავალში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს.

ეკიპაჟს ყოველდღიურ საქმიანობაში ტერორიზმის დიდ საფრთხეზე ზომ-



2001 წლის 11 სექტემბერი. ავიათავდაცვითი საერთაშორისო საეაჭრო ცენტრზე



„ნიუ-იორკი“ მშობლ დოკში





2009 წლის 13 ოქტომბერს ნიუ-ორლეანში ტრადიციული ნათლობის შემდეგ „ნიუ-იორკი“ წყალში ჩაეშვა



აღღის დეჟიზიცი — „არასოდეს დაიწყო“ შტაქსენებს.


7 ნოემბერს ოფიციალურად მოწვეული პირებისა და 11 სექტემბერს დაღუპულთა ახლობლების მონაწილეობით ხომალდის სამხედრო-სახლგო ძაღვებისთვის გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი შედგა.

სახელმწიფო მდივანმა პილარი კლენტონმა ახალ ხომალდს „სიმტკიცის დაუმსხვერველი სიმბოლო“ უწოდა და აღნიშნა, რომ ნიუ-იორკის ბერი ღირსშესანიშნაობა ფოლაღისაგან არის

დამზადებული.

„ნიუ-იორკი“ კორპორაცია Northrop Grumman-მა ლუიზიანას შტატის ქალაქ ნიუ-ორლეანის „აფონდილის“ ჯრფზე აიგო. ამერიკელმა გემთმშენებლებმა ხომალდის მშენებლობა იმდენად დიდ პარტიოტულ საქმედ აღიქვეს, რომ ვერფის ზოგაერთმა თანამშრომელმა პენსიაზე გასვლაიც კი გადაღო.

„ნიუ-იორკი“ San Antonio-ს სერიის მტხუფუ ხომალღა. უკვე მწყობრშია და მსოფლიო ოკეანის სხვადასხვა რაიონში სამსახურს გაღის LPD-17 San



2009 წლის 7 ნოემბერი ამერიკის შვერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი პილარი კლინტონი და „ნიუ-იორკის“ მეთაური, კომანდორი კურტ ჯონსი

Antonio, LPD-18 New Orleans-ი, LPD-19 Mesa Verde და LPD-20 Green Bay.

სერიასი სულ 12 ხომალდი შეღის და 4 მათგანი მშენებლობის სხვადასხვა სტადიაზე.

სერიის პირველი ხომალდის „სან-ანტონიოს“ მშენებლობა 2000 წლის 9 დეკემბერს დაიწყო, მაგრამ მიტხვზთა გამო მისი მწყობრში ჩადგომა მხოლოდ 2006 წლის 14 იანვარს მოხერხდა.

2005 წლის აგვისტოს ბოლოს გრიგალ „კატრინას“ ნიუ-ორლეანთან მიახლოებისას ხომალდმა გემსადგომი დატოვა და სანაპიროს მახლობლად სტიქიასთან ბრძოლაში პირველი გამოცედა ჩააბარა.

„ნიუ-იორკის“ მშენებლობა 2004 წლის 10 სექტემბერს დაიწყო, წყალში კი 2009 წლის 13 ოქტომბერს ჩაუშვეს. რამდენიმე დღე მექანიზმებისა და აგრეგატების გამოცდას დასჭირდა, რომლის დასრულების შემდეგაც ხომალდი სამხედრო-სახლგო ძაღვებს 7 ნოემბერს ოფიციალურად გადაეცა.

ხომალდის სრული წყალწვევა 24900 ტონა, სიგრძე 208,5 მეტრი, ძაღვანი დანადგარების საერთო სიმძლავრე 41600 ცხენის ძალა, სიჩქარე კი 22 კვანძა.

თუღაცავითი შეიარაღლება ორ-ორი 30 მ-იანი ატომბატური ქვეშეხი Bushmaster II Mk44-სა და საზენიტო-სარა-



11 სექტემბერის ტერაქტის შედეგად დაგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ღლითონის ნარჩენების გადაღნობა

**ხომალდის რადარების რადიოგამჭვირვალე გარსამოსში ჩაისმის პროცესი**



კეტო კომპლექსისგან RIM-116 RAM შედგება.

ეკიპაჟი 28 ოფიცერსა და 332 მეზღვაურს ითვლის, ხოლო მეთაურია კომანდორი კურტ ჯონსი.

„ნიუ-იორკი“ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე ნორფოლკის სამხედრო-საზღვაო ბაზაზეა მიწერილი.

ხომალდი 700 საზღვაო ქვეითის მიღებაზეა გათვლილი. ნაპირზე დესანტირებისათვის შედესანტეთა განკარგულებაშია საპაერო ბალიშზე მოცურავე ორი კატარა LCAC ან ამდენივე სადესანტო კატარა LCU-1610.

ტრიუმფი საზღვაო ქვეითების 14 საექსპედიციო საბრძოლო მანქანა EFV-სა ან ამდენივე ამფიბიურ სადესანტო

მანქანა AAV-ს იტყვს.

მრავალფეროვანია ხომალდის ბორტზე განთავსებული საჰაერო ძვკუნი: ორი მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენი CH-53E Super Stallion-ი, ორი კონვერტლანი V-22 Osprey, ოთხი სატრანსპორტო შვეულმფრენი CH-46 Sea Knight-ი, ოთხი შემტევი შვეულმფრენი AH-1 Super Cobra და ოთხი მრავალმზრევი დანიშნულების შვეულმფრენი UH-1 Iroquois-ი.

ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის სადესანტო-სატრანსპორტო ხომალდი დოკი „ნიუ-იორკის“ სახელის მატარებელი რიგით მემუიფი ხომალდია.

პირველი „ნიუ-იორკი“ ამერიკის დამოუკიდებლობის ომის დროს აიგო და



საქართველოს  
დასაცემი

1776 წლის 11-13 ოქტომბერს მამულიანის ტაძარზე გალქურის კუნძულის მახლობლად ბრიტანელებთან ბრძოლაში მონაწილეობდა.

ამერიკის ახალშექმნილი სამხედრო ფლოტი ნეფლი ხის მასალითგან სასწრაფოდ აგებული 16 სხვადასხვა სახის ხომალდს აერთიანებდა და მათ შორის ერთ-ერთი გონილია „ნიუ-იორკი“ იყო.

ბრიტანული ესკადრა ზარბაზნებით აღჭურვილი 30 ხომალდის, 700 მეზღვაურისა და მრავალი ჯარისკაცისგან შედგებოდა. ინგლისელი მხარეს ინდიელები თავიანთი კანოებით იბრძოდნენ.

უთანასწორო ბრძოლაში ამერიკელებმა მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ბევრი ხომალდი დაუზიანდათ და ჭურჭები გამოელაიათ, ამიტომ გენერალ ბენედექტ არნოლდის ბრძანებით, ბრძოლას გადაჩრწილი ყველა ხომალდი და მათ შორის „ნიუ-იორკიც“ დაიწვა.

მომდევრო ხომალდი — ფრეგატი „ნიუ-იორკი“ ნიუ-იორკის მოქალაქეებმა ააგეს და 1800 წლის ოქტომბერში შეერთებული შტატების მთაწობას გადასცეს.

ფრეგატის წყალწვეა 1148 ტონა და სიგრძე 44,32 მეტრი იყო. ეკიპაჟი 340 ოფიცრისა და მეზღვაურისგან შედგებოდა და მას კაპიტანი როჩრად შორის ვალენტინა მეთაურობდა.

ხომალდის გემბანებზე 2618-გირანქანი ზარბაზანი და 2032-გირანქანი



**„ნიუ-იორკი“ მდინარე ბუჰონზე ბუჰისირების თანხლებით...**

ლითონის ეს ნაჭერი  
ეკიპაჟს ტერორიზმის  
საფრთხეს შეასვენებს



9.11.01

STEEL RECOVERED FROM THE WORLD TRADE CENTER

იგივე სახელი ახალ სახაზო კრეისერს დაარქვეს, კრეისერი Rochester-ად მონათლეს.

ხომალდის სამსახური 1933 წლის 29 აპრილს დასრულდა და ვალმოხდელი კრეისერი ფილიპინებზე სუბიკ-ბეის სამხედრო-საზღვაო ბაზის გემსადგომთან დადგა.

1941 წლის დეკემბერში, წინამორბედების მსგავსად, ამ ხომალდის მწყობრიდან გამოყენება ჩაძირვით ისევე ამერიკელებს მოუწიაო, როცა სუბიკ-ბეის ააბონელებმა შეუტყიეს.

1912 წელს ამერიკელმა გემთმშენებლებმა წყალში ჩაუშვეს 28367 ტონა წყალწვევის სახაზო ხომალდი BB-

34 New York-ი. „დრედნოუტის“ კლასის ხომალდის მთავარი კალიბრის არტილერია ათა 356 მმ-იანი ქვეშებისაგან შედგებოდა.


1916 წელს სახაზო „ნიუ-იორკი“ ამერიკის ფლოტში პირველი ხომალდი იყო, რომელიც საზენიტო არტილერიით აღიჭურვა, ხოლო 1939 წელს სონარი გამოიცადა.

ხომალდი ორივე მსოფლიო ომისა და ატომ ბიკინის რაიონში ჩატარებული ბირთვული გამოცდების მონაწილეა. სამსახური კი 1948 წელს პერლ-ჰარბორის მახლობლად სამხრეთ ხომალდის მთავალუბის შესრულების დროს დაასრულა.

თეიმურ ჩაჩანიძე



1776 წლის 11-13 ოქტომბერს შამპლეინის ტბაზე პირველი „ნიუ-იორკის“ საბრძოლო ნათღობა შედგა



სახაზო ხომალდი BB-34 New York

მოკლე და სქელი კარინადას სისტემის ხარბახანი იყო განთავსებული.

ერთხანს „ნიუ-იორკი“ კარბის ზღვაში დაცურაუდა და ამერიკულ საეკპრო ხომალდებს აცილებდა.

1803 წლის 3 აპრილს გიბრალტარში ესკადრას შეუერთდა და ჩრდილო აფრიკაში, ლიბიაში ტრიპოლიზე რეიდი ჩატარა. აქ იგი მეკობრეთა თავშესაფრის განადგურებაში მონაწილეობდა.

სექტემბერში ფრეგატი ისევე ამერიკის წყლებს დაუბრუნდა. ინგლის-ამერიკის 1812-14 წლების ომის დროს, უმნიშვნელო ალბის შემდეგ, 1814 წლის 24 ავგუსტოს ბრიტანელებმა „ნიუ-იორკი“ დაწვეს.

მესამე „ნიუ-იორკი“ სახაზო ხომალდი იყო და მისი მშენებლობა 1816 წლის აპრილში ნორფოლკში სხვა 8 ხომალდთან ერთად ინგლისელთა შესაძლო აგრესიის შეჩერების მიზნით დაიწყო, მაგრამ წყალში ჩაშუება არ შედგა.

ამერიკის სამეჭიდაცი ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1861 წლის 21 აპრილს, ჩრდილოელებმა ხომალდს ცეცხლი წაუკიდეს და კონფედერატა აგრესიის ხელში ჩაგდებას საშუალება არ მისცეს.

1863 წელს საფუტყელი ჩაყვარა შლიოუბის კლასის კიდევ ერთ „ნიუ-იორკს“, მაგრამ წყალში არც მისი ჩაშუება შედგა და 1888 წელს ხომალდი გაიფიდა.

1893 წელს ამერიკის სამხედრო ფლოტს პირველი სრულფასოვანი ჯეფშონანი კრეისერი, 8200 ტონა წყალწვევის ACR-2 New York-ი შეემატა. ხომალდს 102 მმ-იანი თხელი ჯეშონის სარტყელი და 152 მმ-იანი დაჯეშონული გემბანი ჰქონდა. სახომალდო არტილერია 6203 მმ-იანი, 12102 მმ-იანი, 857 მმ-იანი და 437 მმ-იანი ქვეშებისაგან, 4 გტლინგის სისტემის ტუფამფრეცევისა და 2 სანადიო აპარატისაგან შედგებოდა.

ხომალდის სამხედრო ბიოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანი, საინტერესო და ხანგრძლივი გამოდგა.

კრეისერმა „ნიუ-იორკმა“ 1895 წელს კილის არხის გახსნაზე ამერიკის შერეობული შტატები წარადგინა.

ესპანეთთან ომის დროს, 1898 წლის 3 ივლისს, სანტიაგო-დე-კუბასთან ბრძოლას კონტრადმირალი უილიამ სამპსონი ამერიკულ ესკადრას ჯეშონისანი კრეისერიდან „ნიუ-იორკი“ სარდლობდა.

1911 წელს ხომალდმა სახელი შეიცვალა და Saratoga დაერქვა. ამ სახელით 1917 წლის დეკემბრამდე დაცურაუდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა



საზღვაო

საზღვაო  
სამართლები



**NEW YORK (LPD-21)**

# „ჰაერი-მინა“ კლასის გართვალი რაკეტები



## სომალდსანიანაღმდეგო რაკეტები

შეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ინჟინრებმა ათეულობით ახალი სახის შეიარაღებას ჩაუყარეს საფუძველი, გამოხატეს არც ხომალდსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები იყო.

1939 წელს პროფესორმა ვაგენერმა ჩეკელერბრეი გერმანული SC500-ის ტიპის ფუგასური ბომბის ბაზაზე, მასზე ფრთებისა და მართვის ზედაპირების დაყენებით, მართვადი პლანირებადი ბომბი HS-293 შექმნა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჩატარებულ გამოცდაზე გაირკვა, რომ ჩამოვლებს შემდეგ ბომბი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მატარებელ-თვითმფრინავს და ოპერატორს უსწელება მისი დამხმარება. ამიტომაც ბომბის

ქვეშ 590 კგ მასის წვეის მქონე თხევადსაწვეიანი რაკეტული ძრავა დაამატრეს. ასე გადაიქცა პლანირებადი ბომბი, რომელიც ხომალდების გასანადგურებლად უნდა გამოყენებულიყო, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტად. ძრავა მხოლოდ 10 წმ-ს მუშაობდა. სამაგიეროდ რაკეტის სიჩქარე 600 კმ/სთ-ს აღწევდა. თავად ვაგენერის ქმნილების სიგრძე 3,8 მ-ს, ფრთის გაქანი კი 3,1 მ-ს შეადგენდა. რაკეტა 1045 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 295 კგ საბრძოლო ქიმიწვე მოდიოდა.

რაკეტას მატარებელი-თვითმფრინავიდან 400-2000 მ სიმაღლის დიაპაზონში, 320 კმ/სთ სიჩქარისას აგდებდნენ. მისი მოქმედების მაქსიმალური დისტანცია 8,5 კმ-ს შეადგენდა. საბაზო ვარი-

ანტში სტარტის შემდეგ რაკეტა რადიობრძანებით იმართებოდა, რისთვისაც მას სა და თვითმფრინავზე სპეციალური რადიომიმღებები იყო დაყენებული. მოდიფიკაცია HS-293B-ზე სტარტის შემდეგ რაკეტის მართვა მათულებით ხდებოდა და საჭიროების შემთხვევაში ოპერატორს რაკეტის ფრთის გეზში კორექტივები შეჰქონდა, მაგრამ ვიშუალური დაკვირვება ამინდზე იყო დამოკიდებული და ამიტომაც მოდიფიკაცია HS-293D-ზე ტელევიზიური სისტემა დააყენეს. თუმცა მისი გამოცდა საბრძოლო პირობებში ვერ მოუხერხდა.

საზღვაო სამიზნეების გასანადგურებლად რაკეტის გამოყენების პირველი შედეგიანი შემთხვევა 1943 წლის 27 აგვისტოს დაფიქსირდა, როდესაც ბისკაის ყურეში გერმანული ბომბდამშენებიდან გაშუქულმა რაკეტებმა ბრიტანული Slupi Egret-ი ჩაძირეს, კანადური საესკადრო ნაღოსანი Athabaskan-ი კი ძლიერ დაზიანდა. სულ გამოუშვეს დაახლოებით 1000 HS-293. მისი მატარებლების როლში ბომბდამშენები He-111, He-177, Fw-200, და Do-217 გამოიღონენ. ინოვაციურობის მიუხედავად, რაკეტა სრულყოფას საჭიროებდა. მისი გამოყენებით ჩაძირეს მხოლოდ 16 ხომალდი, 17 კი დაზიანეს.

შეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოკავშირეებმა ძალზე ბევრი გერმანული პროექტი დაიტაცეს, მაგრამ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები რატომღაც არ იწვევდა დიდ ინტერესს. მაღე ცვაი ომეც დაიწყო და საბჭოთა კავშირი ფრთოსან ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების, აშშ კი ფრთოსანი სტრატეგიულების შექმნაზე გადაერთო.




მიუხედავად იმისა, რომ HS-293-ს ბაზას უბრალო საავიაციო ბომბი წარმოადგენდა, ფრთებისა და რაკეტული ძრავის გამოყენების წყალობით, ის ხომალდსაწინააღმდეგო კლასის რაკეტებს მიეკუთვნება

თუმცა იყვნენ ქვეყნები, რომლებიც ხომალდსაინააღმდეგო რაკეტებში დიდ პერსპექტივებს ხედავდნენ. 50-იანი წლების დასაწყისში შეედგურა ფირმა SAAB-მა ხომალდსაინააღმდეგო რაკეტაზე დაიწყო მუშაობა, რომელსაც ომის დაწყების შემთხვევაში ბალტიის ზღვის აკატორიაში საბჭოთა ხომალდების გასანადგურებლად გამოიყენებდნენ. RB-04-ის პირველი საცდელი გაშვება 1955 წლის დასაწყისში შედგა. მისი სიგრძე 4,45მ-ს შეადგენდა, ფრთების გაქანი (რაკეტა არ მიეკუთვნებოდა ფრთოსანთა კლასს) კი — 2 მ-ს. რაკეტა 600 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 150 კგ ნახევრად ჯავშანგამტან მსხვერვად-ფუგასური ტიპის საბრძოლო ქობინზე მოდიოდა. მყარსაწვავიანი რაკეტული ძრავა მას 1000-1100 კმ/სთ-ის ტოლი სიჩქარით ფრენის საშუალებას აძლევდა. რაკეტის ფრენის კრეისერული რეჟიმში 20 მ-ის სიმაღლეზე მიმდინარეობდა. სამიზნესთან მიახლოებისას კი სიმაღლე რამდენიმე მეტრამდე მცირდებოდა.

RB-04 შეიარაღებაში 1962 წელს მიიღეს, ექსპორტზე ის არ გაიღოდა. მისი სერიალი წარმოება 1978 წელს დასრულდა. RB-04-ის მატარებელი საშუალება მრავალმიზნობრივი AJ-37 Viggen-ი იყო, რომელსაც ორი ასეთი რაკეტის წადლება შეეძლო. შეიარაღებიდან რაკეტა 2000 წელს მოხსნეს.

60-იანი წლების დასაწყისში ხომალდსაინააღმდეგო რაკეტებზე მუშაობა ისრაელმაც დაიწყო და რამდენიმე წელს ფირმა Israeli Aircraft Industries-მა კატარღების შესაძლებლად რაკეტა Gabriel Mk1 შექმნა. მაგრამ ფრენის შედარებით პატარა მანძილი (25 კმ) და დამიზნების ნახევრად აქტიური თავის გამოყენება საგრძნობლად ხელუფავდა მის გამოყენებას და ამიტომაც 70-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა მოდიფიკაცია (დამიზნების სისტემის შენარჩუნებით) 36 კმ-იანი ფრენის დისტანციით Gabriel Mk2. შემდგომ მოდიფიკაციას სრულყოფილი Gabriel Mk3 წარმოადგენდა, რომლის ვარიანტიც Mk3 A/S უკვე თვითმფრინავების შესაიარაღებლად იყო განკუთვნილი. მისი სიგრძე 3,85 მ-ს, დიამეტრი კი 0,34 მ-ს შეადგენს. რაკეტა 600 კგ-ს იწონის, საიდანაც 150 კგ ნახევრად ჯავშანგამტან საბრძოლო ქობინზე მოდის. ძალურ დანადგარში თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავის გამოყენების შემთხვევაში მისი ფრენის მანძილი 60 კმ-ია, ფრენის სიჩქარე კი 0,75 M-ს შეესაბამება.

რაკეტის სამართავად ორი რეჟიმი



თავისი ეფექტურობის წყალობით რაკეტა RB-04 შეიარაღებაში თითქმის 40 წელი იყო



გამოიყენება. ავტონომიურს მოიერიშეები და გამანადგურებლები იყენებენ, ინერციულს კი საპატრულო ავიაციის თვითმფრინავები, რომელთა რადიოლოკაციურ სადგურებს სამიზნის გაცელება შეუძლიათ. ავტონომიური გაშვების შემთხვევაში საჭიროა სამიზნის კოორდინატების წინასწარი ცოდნა და მათ გარდა რაკეტის საბორტო კომპიუტერში გაშვების მომენტში მატარებელი თვითმფრინავის სერვეში მდებარეობის შესახებ ინფორმაციის შეტანაა საჭირო. გაშვების ამ სისტემის გამოყენებისას რაკეტა 20 მ სიმაღლეზე მიფრინავს, რაც მისი დამიზნების სისტემით სამიზნის დაჭერითაა განპირობებული. ინერციული მეთოდის გამოყენებისას კი ზღვის

ფლევადან გამომდინარე ფრენის სიმაღლე 1,5-4 მ-ია. რაკეტა Gabriel Mk3 A/S საქსპორტოდ არასდროს გასულა. მისი ტარება ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების F-4 Phantom-II-ს, A-4 Skyhawk-ს, C2 Kfir-სა და Sea Scan-ის ტიპის თვითმფრინავებს შეუძლიათ.

70-იანი წლების დასაწყისში ნორვეგიულმა ფირმა Kongsberg Vapenfabrikk-მა ახლო მოქმედების ხომალდსაინააღმდეგო სერვეში მდებარეობის შესახებ ინფორმაციის შეტანაა საჭირო. გაშვების ამ სისტემის გამოყენებისას რაკეტა 20 მ სიმაღლეზე მიფრინავს, რაც მისი დამიზნების სისტემით სამიზნის დაჭერითაა განპირობებული. ინერციული მეთოდის გამოყენებისას კი ზღვის



ებრძული ხომალდსაინააღმდეგო რაკეტა Gabriel Mk3 A/S

ამერიკელები იმდენად მოიხიბლენენ ნორვეგიული Penguin-ით, რომ მის ბაზაზე საავიაციო ხომალდსანიანადმდგო რაკეტა შექმნეს



დანტრესდა და მის ბაზაზე საავიაციო ვარიანტის შექმნა გადაწყვიტა. ასე განა და მოდიფიკაცია Mk3, რომელსაც ამერიკული კლასიფიკაციით AGM-119A უწოდებდა. რაკეტა გამანადგურებელ F-16-ის შეიარაღების არსენალში შევიდა. ცოტა ხანში მას მოდიფიკაცია Mk2 Mod7 მოჰყვა (AGM-119B), რომელიც უკვე შეუვლმფრენებიდან გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი და წინა ვარიანტისგან განსხვავებით ორსაფეხურიანი ძრავა ჰქონდა. ორივე ვარიანტში რაკეტებს მართვის ციფრული ელექტროსისტემები აქვს.

რაკეტის საავიაციო ვარიანტის სიგრძე, რომელსაც მოდულური კონსტრუქცია აქვს, 3,2 მ-ს, ფრთების გაქანი კი 1 მ-ს შეადგენს. რაკეტა 350 კგ-ს იწონის, საიდანაც 120 კგ კუმულატიური-ფუგასურ საბრძოლო ქობინზე მოდის. რაკეტის გამოყენების დისტანცია 5-50 კმ-ს შეადგენს, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 290 მ/წმ-ს უტოლდება. რაკეტის გაშვება მინიმალურ 45 და მაქსიმალურ 9000 მ სიმაღლიდან შეიძლება.

Penguin-ის ტიპის რაკეტის საბრძოლო გამოყენება პრინციპით „გაისროლე და დაიფიქე“ ხდება. სამიზნის მდებარეობიდან გამომდინარე, მაღალი მანევრულობის წყალობით, რაკეტას ფრენის დროს +/-180°-ით შეუძლია მობრუნება. გაშვების შემდეგ რაკეტა სამართო ფრენის წინასწარგანსაზღვრულ სიმაღლეზე ეშვება, რომლის დროსაც დამიზნება ინერციული საწავიაციო სისტემის მეშვეობით ხდება. სამიზნეუბიან მიზანობებისას კი რაკეტა ფრენის მინიმალურ სიმაღლეზე გადადის. სრულიყოფილი მართვის სისტემის წყალობით რაკეტას წინადადგობების გვერდით ავლა შეუძლია. ერთდროუ-

1976 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვაო ავიაციის შეიარაღებაში ახალი ხომალდსანიანადმდგო რაკეტა Kormoran-ი მიიღეს, რომელიც თავიდან გამანადგურებელ-ბომბდამშენ F-104 Starfighter-ის, შემდგომ კი უკვე მრავალმიზნობრივი Tornado-ს შეიარაღებაში შევიდა. ნორმალური აეროდინამიკური სქემის მიხედვით შექმნილ რაკეტას მოდულური კონსტრუქცია აქვს და მისი სიგრძე 4,4 მ-ს, კორპუსის დიამეტრი კი 0,34 მ-ს შეადგენს, ფრთის გაქანი 1 მ-ს აღწევს. სრულად აღჭურვილი რაკეტა 660 კგ-ს იწონის, საიდანაც 160 კგ ფუგასური ტიპის საბრძოლო ქობინზე მო-



გერმანული ხომალდსანიანადმდგო რაკეტა Kormoran-ი და თვითმფრინავ Tornado-დან გაშვების მომენტი



ლად რამდენიმე გაშვების შემთხვევაში კი ყველა რაკეტას ერთი და იმავე სამიზნისკენ სხვადასხვა ტრაექტორიით შეუძლია ფრენა.

საავიაციო ვარიანტში რაკეტა ნორვეგიის (1989 წლიდან), საბერძნეთის, აშშ-ის (1987 წლიდან), ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საკაერო ძალებისა და ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეუვლმფრენია შეიარაღებაშია.

დის. 0,9 M-ის ტოლი ფრენის მაქსიმალური სიჩქარისას მისი გამოყენების მაქსიმალური დისტანცია 30 კმ-ს აღწევს.

რაკეტა Kormoran-ის გასროლა ორი მეთოდით შეიძლება. პირველ შემთხვევაში სამიზნის კოორდინატებში წინასწარ შეყვით რაკეტის კომპიუტერში. ამ დროს თვითმფრინავის რადიოლოკაციური სადგური გათიშულია და მხოლოდ კოორდინატების დასაზუსტე-

ბლად რამდენიმე წამით ჩართავს მას. რაკეტის გაშვება 30 მ სიმაღლიდან ხდება, რაკეტის სამარშო ფრენის უბანი 15 მ სიმაღლეზე მიმდინარეობს. სამოზინიდან რამდენიმე კილომეტრში ირთება რაკეტის თვითღამიზნების აქტიური თავი. მეორე მეთოდი თვითმფრინავს უფრო შექმნავს ხდის, რადგან გაშვება ოპტიკური სამიზნის გამოყენებით ხდება.

1965 წელს აშშ-ის სამხედრო-სავლეთო ფლოტმა წყალზედა მდგომარეობაში მყოფი წყალქვეშა ნაუების გასანადგურებლად 45 კმ დისტანციაზე მოქმედებელი რაკეტის თემატიკაზე დაიწყო მუშაობა, მაგრამ ცოტა ხანში სამხედროებს გემის შეცვლა მოუწიათ. 1967 წელს ეკვიპირებულმა ორი საბჭოთა ხომალდსაინააღმდეგო რაკეტა P-15-ის გამოყენებით ებრაელი ფრეგატი „ვილგეტი“ ჩაძირეს. შესაბამისად, ახალი რაკეტის დანიშნულება, რომელსაც Harpoon-ი ეწოდა, წყალზედა ხომალდებთან ბრძოლა გახდა. 1971 წელს ფორმა McDonnell-Douglas-მა რაკეტის წარმოებაზე კონტრაქტი გააფორმა, ერთი წლის შემდეგ კი მკარასევიანი რაკეტული ძრავით აღჭურვილი რაკეტის პირველი საცდელი გაშვება შედგა. გადაწყდა, შექმნილიყო რაკეტის მოდიფიკაციები ხომალდებისა და წყალქვეშა ნაუების შესაიარაღებლად. მალე სამხედროებმა რაკეტის მოქმედების დისტანციას გაზრდა 90 კმ-მდე მოისურვეს, რის გამოც მისი ძალად დანაგარში რაკეტის ნაცვლად ტურბორეაქტიული ძრავა შევიყენეს. რაკეტის საავიაციო ვარიანტმა, რომელიც თვითმფრინავი Orion-ის შეიარაღებამ 1977 წელს მიიღეს, ნიშნული AGM-84A მიიღო. 90-იანი წლების შუა ხანებისთვის სხვადასხვა მოდიფიკაციის რაკეტებით აღჭურვა ძირითად კლასის 210-ზე მეტი ხომალდი, ატომური წყალქვეშა ნაუების 65% და 800-ზე მეტი თვითმფრინავი (Orion-ი, A-6 Intruder-ი, A-7 Corsair-II, F/A-18 Hornet-ი, S-3 Viking-ი). გრდა ამისა, სტრატეგიული ბომბდამშენების B-52 ორი ესკადროლია ამ ტიპის რაკეტების სატარებლად გადაკეთდა.

საავიაციო ვარიანტში რაკეტის სიგრძე 3,85 მ-ს, კორპუსის დიამეტრი კი 0,34 მ-ს შეადგენს. მისი სასტარტო მასა 556 კგ-ია, საღიანჯ 222 კგ მსხვერფეფუგავსურ საბრძოლო ქიმიკატო მდის. ის დაჯგუფწულ კორპუსშია მოთავსებული, რომელიც დაჯგუფწულ წინააღმდეგობასთან შტუდერისას ქიმიკატო დამა



დღეისთვის Harpoon-ი ძირითადი ამერიკული საავიაციო ხომალდსაინააღმდეგო რაკეტაა



ხელს უშლის. ძალური დანადგარის სახით რაკეტა J402-CA-400-ის ტიპის რეაქტიული ძრავითაა აღჭურვილი. საწვავის მარაგი 45 კგ-ია. რაკეტის ფრენის სიჩქარე 860 კმ/სთ-ია და სახომალდო ვარიანტებისგან განსხვავებით არა აქვს მკარსსწვავიანი სასტარტო ამჩქარებელი.

არსებობს AGM-84-ის გამოყენების ორი მეთოდი. პირველი ითვალისწინებს გაშვებას ჰელენგისა და დისტანციის მიხედვით და ამ შემთხვევაში საჭიროა სამიზნის ზუსტი კოორდინატების ცოდნა, რადგან რაკეტის თვითღამიზნების თავის ჩართვა მხოლოდ ფრენის ბოლო ეტაპზე ხდება. ეს მეთოდი საგრძნობლად ამცირებს გაშვებული რაკეტის აღმოჩენის ალბათობას. მეორე მეთოდისას, როდესაც სამიზნის კოორდინატები უცნობია, მხოლოდ ჰელენგი გამოიყენება. ამ შემთხვევაში რაკეტას სამიზნის საყარაულო ადგილმდებარეობის მიმართულებით უშვებენ. სტარტის შემდეგ რაკეტის თვითღამიზნების თავი სამიზნის მიმართ რეჟიმში გადადის და თუ ის ვერ აღმოაჩინეს, გაიცემა ბრძანება თვითგანადგურებაზე.

თუ რაკეტის გაშვებისას მატარებელი-თვითმფრინავი დაბალ სიმაღლეზეა, რაკეტის ძრავა მასწვე ირთება, ხოლო თუ თვითმფრინავი დიდ სიმაღლეზე მდებარეობს, ძრავას ჩართვა მხოლოდ განსაზღვრულ სიმაღლეზე დაშვების შემდეგ ხდება.

1985 წელს შეიქმნა რაკეტის საავიაციო ვარიანტის მოდიფიკაცია Block 1C, რომელსაც ნიშნული AGM-84D მიიღო. ახალი საწვავის გამოყენების წყალობით მისი მოქმედების დისტანცია 220 კმ-მდე გაიზარდა. ვანეთარების შემდეგ საფეხურს ვარიანტი Harpoon 1E SLAM-ი (AGM-84E) წარმოადგენს, რომელიც წინამორბედებისგან უნივერსალურობით განსხვავდება და მისი გამოყენება არა მხოლოდ საზღვაო სამოზინებისა და ძრავის შენარჩუნებისას, რაკეტის სითბოეზური თვითღამიზნების თავი რაკეტა Maverick-ისგან განსხვავდება და მისი გამოყენება შეუძლებელია. ამ მოდიფიკაციაზე მუშაობა 1988 წელს დაიწყო და 1991-ში რამდენიმე რაკეტა ოპერაცია „ლუბანოს ქაინიზნის“ დროსაც კი გამოიყენეს. არსებობს





ფრანგული წარმოების ხომალდსანაღმდეგო Exocet-ი და მის მიერ დაზიანებული ბრიტანული Sheffield-ი და ამერიკული Stark-ი



რაკეტის ფროსიანი ვარიანტი — AGM-84H SLAM-ER-ი (დაწვრილებით იხ. „არსენალი“ №22(91), 2009წ.).

რაკეტის საბრძოლო ნათლობა 1986 წელს შედგა, როდესაც ამერიკულმა საგემბანო მოიერიშემ A-6 ორი AGM-84-ის გამოყენებით 311 ტ წყალწვევის ლიბიური კატარა ჩაძირა. დღეისთვის რაკეტის საავიაციო ვარიანტის სხვადასხვა მოდიფიკაცია ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის, ესპანეთის, იტალიის, კანადის, ქუვეითის, ახალი ზელანდიის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, პორტუგალიის, ტაილანდის, თურეთის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის შეიარაღებაშია. მისი ტარება A-6, A-7E, B-1B, B-52H, F-111C, F-16, F/A-18, F-20, Nimrod MR2, AV-8B, P-3 და S-3-ის ტიპის თვითმფრინავებს შეუძლიათ.

70-იანი წლების დასაწყისში ფრანგულმა კომპანია Aerospatiale-მა ხომალდსანაღმდეგო რაკეტა Exocet-ზე დაიწყო მუშაობა, რომელიც უნეერსადღურობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ოთხ მოდიფიკაციად შეიქმნა: MM-38 — ხომალდებისთვის, SM-39 — წყალქვეშა ნაუბისთვის, MM-40 — მობილური სანაპირო დაცვის დანადგარებისთვის, AM-39 — თვითმფრინავებისთვის. საავიაციო ვარიანტის შემთხვევაში რაკეტის სიგრძე 4,7 მ-ს, კორპუსის დიამეტრი კი 0,35 მ-ს შეადგენს. ფრთის გაქანი 1,1 მ-ია. მისი სასტარტო მასა 660 კგ-ს უტოლდება, საიდანაც 150 კგ მსხვერვად-ფუგასური ტიპის საბრძოლო ქობინზე მოდის. რაკეტას მყარსაწყვიანი რაკეტული ძრავა აქვს, რომელიც მას 1100 კმ/სთ სიჩქარით ფრენის საშუალებას აძლევს. საზღვაო ვარიანტებისგან განსხვავებით, ვარიანტი AM-39 შედარებით მცირე გაბარიტებითა და მაღალი საფრენისონი მახასიათებლებით გამოირჩევა. 10000 მ სიმაღლიდან გაშვების შემთხვევაში მისი მოქმედების დისტანცია 70 კმ-ია.

რაკეტის საბრძოლო ნათლობა 1982 წლის 4 მაისს დიდი ბრიტანეთსა და არგენტინას შორის ფოლკლენდის კუნძულებისთვის დაწყებულ საბრძოლო კონფლიქტში მიიღო. იმ დროს არგენტინის შეიარაღებაში ფრანგული წარმოების Super Etendard-ის ტიპის საგემბანო მოიერიშეები ჰყავდა, რომლებიც ასევე ფრანგული წარმოების ხომალდსანაღმდეგო Exocet-ებით იყენებდნენ შეიარაღებული. ინვალსელებს მათი შესაძლებლობების შეუფასებლობა მწარედ დაუჯდათ. იმ დღეს არგენტინელმა

მფრინავებმა საესკადრო ნაღმოსან Sheffield-სა და ფრეგატ Plymouth-ს შეუტოეს. ორივე მათგანის მიმართულებით 37 კმ დისტანციიდან ორი რაკეტა იქნა გაშვებული. Sheffield-ის ეკიპაჟმა რაკეტა შუჯახებამდე მხოლოდ 6 წმ-ით ადრე და ისიც ვიზუალურად შეაჩინა. რაკეტამ ბორტი ვატერხაზიდან 1,8 მ-ით ზევით გახვრიტა, მაგრამ ამფეთქმა არ იმოქმედა. დარჩენილი რაკეტული საწვავისგან ბორტზე ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ხანძართან ზუსათიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ ეკიპაჟმა ხომალდი დატოვა და 10 მისის ის ჩაიძირა. Plymouth-მა მისკენ მფრინავ რაკეტები 40 წმ-ით ადრე შენიშნა და დიპლოური ამრეკლების წყალობით მათი არიდება შეძლო.

25 მისის არგენტინელების მორიგი მსხვერპლი კონტინენტში Atlantic Conveyor-ი გახდა. ომის დაწყების შემდეგ ის გადააკეთეს და შეუქმდნენ მისი და ვერტიკალური აფრინავების თვითმფრინავების მისაღებად იყენებდნენ. არგენტინელმა მფრინავებმა თავიდან მიზანში ავიამზიდი Hermes-ი ამოიღეს და 48 კმ დისტანციიდან რაკეტები ესროლეს, მაგრამ დიპლოური ამრეკლებით დენოზირებული რაკეტებმა მიზანში მისგან 6 კმ-ში მყოფი Atlantic Conveyor-ი ამოიღეს. ხომალდს ორივე რაკეტა მოხვდა და ჩაიძირა.

1987 წლის 17 მაისს ვრავულმა გამანადგურებელმა Mirage F-1-მა ორი რაკეტა ამერიკულ ფრეგატ Stark-ს ესროლა. მიზანს ორივე მოხვდა, მაგრამ მხოლოდ ერთი აფეთქდა. მიუხედავად ამისა, ხომალდი ძალზე დაზიანდა.

დღეისთვის რაკეტის საავიაციო ვარიანტი არგენტინის, ბრაზილიის, ჩილეს, საფრანგეთის, საბერძნეთის, მალაიზიის, პაკისტანის, პერუს, ვენესუელისა და სამხრეთ კორეის შეიარაღებაშია.

1981 წელს ბრიტანული საგემბანო შეუქმდნენების შეიარაღებაში ახალი ხომალდსაინააღმდეგო რაკეტა Sea Skua შევიდა, რომელმაც საგრძობლად გაზარდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საცეცხლე ძალა. ფრმა British Aerospace Defence-ის რაკეტა Lynx-ისა და Sea King-ის ტიპის საგემბანო შეუქმდნენების შესაიარაღებლად იყო განკუთვნილი. რაკეტის სიგრძე 2,85 მ-ს, კორპუსის დიამეტრი კი 0,27 მ-ს შეადგენს. ფრთის გაქანი 0,6 მ-ს უტოლდება. მისი სასტარტო მასა 145 კგ-ია, საიდანაც 25 კგ ფუგასური ტიპის საბრძო-



ლო ქობინზე მოდის. მისი ფრენის სიჩქარე 0,8-0,95 კმ-ს უტოლდება, მოქმედების მაქსიმალური დისტანცია კი — 25 კმ-ს.

გაშვების შემდეგ რაკეტა 2-5 მ სიმაღლემდე ეშვება და ფრენის სამარშო უბანზე გადადის. თვითდამიზნების თავი სამიზნეს დაამიზნებელი თვითმფრინავის რადიოლოკაციური სადგურიდან არეკლილი სიგნალის საშუალებით აფიქსირებს. იმ შემთხვევაში, თუ ფრენის სამარშო უბანზე სამიზნის დაფიქსირება არ ხდება, ტრაექტორიის საბოლოო უბანზე გათვალისწინებულია მანვერი ტანგაჟის სიბრტყეში, რომლის დროსაც იზრდება რაკეტის ფრენის სი-

ძალე და ადვილდება სამიზნის დაფიქსირება. ხომალდს ბორტზე მოხვედრისას შენელებული მოქმედების კონტაქტური ამფეთქი ამოქმედდება.

რაკეტა Sea Skua-ს საბრძოლო დებიუტი ფოლკლენდის ომში შედგა, — ბრიტანულმა შეუქმდნენებმა ამ ტიპის რაკეტების გამოყენებით ერთი სატვირთო არგენტინული ხომალდი და ერთი საპატრულო კატარა ჩაიძირეს.

დღეს რაკეტა Sea Skua ბრაზილიის, გერმანიის, ინდოეთის, ქუვეითის, მალაიზიის, პაკისტანის, სამხრეთ კორეის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებაშია.

**თეზისი აულშახავილი**

**ბრიტანული Sea Skua-ს გამოყენება მხოლოდ საგემბანო შეუქმდნენებს შეუძლიათ**



# ნოვაზორული „უკულგარტეი“



„პატივცემული რედაქცია, მე გახლავართ ფურნალ „არსენალის“ ერთ-  
გული მკითხველი. გთხოვთ გვიამბოთ რუსულ თვითმფრინავ Cy-47-ზე,  
რომელსაც შებრუნებული ფრთები აქვს. რუსების თქმით, მათ პირველებმა  
მოახერხეს ამ ტიპის ფრთებისათვის დამახასიათებელი პრობლემის გადა-  
ჭრა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს, გთხოვთ  
განვიმარტოთ, რამდენად მართებულია მათი განცხადება.“

პატივცემული შირთა კვანტალიანი

უიაცის განვითარების მთელი პერი-  
ოდის განმავლობაში, განსაკუთრებით კი  
სამხედრო და საბრძოლო თვითმფრი-  
ნავების შემთხვევაში, მანევრირებას  
ყოველივეს დიდი მნიშვნელობა ენიჭე-  
ბოდა. გასული საუკუნის 40-იანი წლებ-  
ის დასაწყისში ისრისებური ფრთების  
გამოჩენამ იმდროინდელი გამანადგურე-  
ბლების სიჩქარე ძალზე გაზარდა. თვით-  
მფრინავის სიჩქარის ზრდასთან ერთად  
იზრდება პაერის წინააღმდეგობაც და  
სწორი ფრთის გამოყენების შემთხვევა-  
ში 700კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის განვი-  
თარება, როგორც წესი, თვითმფრინავის  
კონსტრუქციის რღვევით მთავრდებოდა.  
ისრისებური ფრთის გამოყენებამ ეს ნა-  
კლი გამოასწორა და თვითმფრინავის  
ფრენის სიჩქარე 950-1000 კმ/სთ-ს მიუახ-  
ლოვა. მაგრამ ამ ტიპის ფრთას ერთი  
მნიშვნელოანი ნაკლი აქვს, — შედარე-  
ბით მცირე შეტევის კუთხეებზე ისრისე-  
ბური ფრთის ბოლოებზე პაერის ნაკადის  
მოწყვეტა ხდება, რაც უარყოფითად მო-

ქმედებს გრძელ მდგრადობაზე. შეტევის  
კუთხის შემდგომი ზრდა ნაკადის მოწყ-  
ვეტას ფრთის უკვე თითქმის მთელ  
ხედაობაზე იწყებს და ამ დროს დიდია  
თვითმფრინავის შტოპორში ჩაჯარნის  
აღბათობა. ხანგრძლივი დროის განმავ-  
ლობაში ამ პრობლემის გადაჭრას სხვა-



მსოფლიოში უარყოფითი ისრისებურობის ფრთის  
მქონე პირველი თვითმფრინავი Ju-287





დასხვა მეთოდით ცდილობდნენ, მათ შორის ფრთის ზედა ზედაპირზე ქიმიების დაყენებით, რაც ხელს უშლიდა ნაკადის მოწყვეტას.


რაც შეეკბა ფრთას უარყოფითი ისრისებრობით (ამ ტიპის ფრთას კიდევ რამდენიმემაინარად მიიხსენიებენ. ჩვენ შემთხვევაში დასახელებას გამოიყენებთ - ყურ.ლ მას ასეთი ნაკლი არ გააჩნია. ამ ფრთის შემთხვევაში ადგილი არა აქვს მის კიდურა ნაწილებიდან პაერის მოწყვეტას და შესაბამისად, შეტყვის კუთხეებზე ის უფრო მეტ ამწვე ძალას წარმოქმნის. უარყოფითი ისრისებრობის შემთხვევაში, ნაკადის მოწყვეტა ფრთის ძირეული ნაწილიდან იწყება და შესაბამისად, ელვრონიკი არ კარგავს ეფექტიანობას.

1942 წლის ბოლის გერმანულ ფორმას Junkers ახალი რეაქტიული ბომბდამშენის შექმნა დაიწყო. მისი სიჩქარე 800 კმ/სთ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდში ასეთი სიჩქარის განუთავრება პირობითურად ფრენისას არც ერთ თვითმფრინავს არ შეეძლო. ყველაზე რთულ საქმეს ამ საკითხში ფრთის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა წარმოადგენდა. კრიტიკული რიცხვის გაზრდის მიზნით, ფრთის აეროდინამიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი უარყოფითი ისრისებრობის ფრთის გამოყენება იყო, წინა წიბოზე ისრისებრობის -23°-იანი კუთხით ფრთის სიხისის ოპტიმალური სიდიდის შესაწარმუნებლად გადაწყვიდა, რომ ახალ თვითმფრინავზე, რომელმაც ნიშნული JU-287 მიიღო, ექსპირებული შასი გამოიყენებინათ. ძალურ დანადგარის სახით Jumo 004-ის ტიპის ოთხი რეაქტიული ძრავა გამოიყენებოდა, რომელითაგან ორი ფიუზელაჟის ცხვირა ნაწილში, მის ბორტებზე მაგრდებოდა, ორი კი - ფრთის ქვეშ. 1944 წლის 8 აგვისტოს პირველი პროტოტიპი JU-287 V1 პირველად აფრინდა პაერში. მისი სიგრძე 18,3 მ-ს, ფრთის გაქანი კი 20,1 მ-ს შეადგენდა. ცარიელი თვითმფრინავი 12500 კგ-ს იწონიდა. გამოცდებზე ნაწვენებმა მისმა მაქსიმალურმა სიჩქარემ 860 კმ/სთ შეადგინა. თვითმფრინავზე 500 კგ-ის წყვის ძალის მქონე თევზადასწავიანი სასტარტო ამანქარებლები გამოიყენებოდა. პირველ პროტოტიპზე სულ 17 საცდელი გაფრენა შესრულდა, მაგრამ ბალანსირებასა და წვევის უკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, გადაწყვიდა, რომ შემდეგ საფრენოსნო პროტოტიპზე JU-287 V2 ძრავები მხოლოდ ფრთის ქვეშ განეთავსებინათ და მათი რაოდენობა ექვსამდე გაეზარდა.

განკარგულებით, თვითმფრინავზე მუშაობა შეწყდა. 1945 წლის დასაწყისში ვითარება შეიცვალა და Junkers-ის მისი სერიული წარმოების მოშლამდე დაეკლა. ძალურ დანადგარში შეტანილი ცვლილებების გარდა, ახალი პროტოტიპი წინაპროტოტიპისგან კვლევი შასითაც განსხვავდებოდა. საბრძოლო დატვირთვის სახით მას ბორტზე 4000 კგ-ის წაღება შეეძლო. გერმანული საავიაციო ცენტრების ინტენსიური დაბობებების მიუხედავად, უმოკლეს დროში მოხერხდა საკონსტრუქტორი დოკუმენტაციის მოშლამდე, მცირე საწარმოებში კი თვითმფრინავის ცალკეულ აგრეგატების დამზადება კი დაიწყო. თუმცა ომის დასრულებამ გერმანელების ყველა გეგმას ხაზი გადაუსვა, ორივე პროტოტიპი კი ხელთ საბჭოთა სპეციალისტებმა იკვდეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში საბჭოთა კავშირში ინტენსიურად მიმდინარეობდა სამუშაოები ჩქაროსნულ, მანევრირებად გამანადგურებელზე, რომელსაც ეწეებოდა ფრთა უარყოფითი ისრისებრობით. იქმნებოდა პლანერები უარყოფითი ისრისებრობის ფრთით, რომლებიც დამხმარე თვითმფრინავების საშუალებით განსაზღვრულ სიმაღლეზე აწყვდილით პლანერი ზებგერიით სიჩქარის გასეთარებლად პიკირებას ახდენდა. 1947 წელს ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტული პლანერის 11-3 სიჩქარე 1200 კმ/სთ-ს, ხოლო მისი ფრთის ისრისებრობა -30°-ს შეადგენდა.

მაგრამ მამინ ასეთი ფრთის კონსტრუქციის რეალიზაცია ვერ მოხერხდა, რადგან იმდროინდელი კონსტრუქციული მასალები და ტექნოლოგია არ იძ-



**ციბინის მიერ შექმნილი ექსპერიმენტული პლანერი 11-3 მსოფლიოში უარყოფითი ისრისებური ფრთის მქონე პირველი სადენინ აპარატი იყო, რომელმაც ზებგერიით სიჩქარე განავითარა**

ლეოდა ამგვარი სქემის ფრთის მტკიცე კონსტრუქციის შექმნის საშუალებას. საქმე ის არის, რომ უარყოფითი ისრისებრობის ფრთის შემთხვევაში ის დაუცველია დიფერენციალსგან (ფრთის კონსტრუქციის გრუბა მისი შემდგომ რღვევით), რომელიც ფრენის განსაზღვრულ რეჟიმებზე წარმოიქმნება. კონსტრუქციის გაძლიერების შემთხვევაში კი მასის ზრდა ამ ტიპის ფრთისთვის



**შექმნიდან 50-ე წლისთავზე ჩეხოსლოვაკიური L-13 დღეობაც მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ პლანერად რჩება**



**გერმანული Hansa Jet დღემდე უარყოფითი ისრისებურობის მქონე პირველ და ერთადერთ სამგზავრო თვითმფრინავად რჩება**



დამახასიათებელ ყველა უპირატესობას აბათილებს. ამიტომაც მთელი მსოფლიო ომის შემდგომ ამგვარი სიქმის ფრთებს სექტიკურად უყურებდნენ და კონსტრუქტორები ცდილობდნენ, თვითმფრინავების ფრთებისთვის მინიმალური უარყოფითი ისრისებურობა შეინარჩუნებინათ.

1956 წელს ჩეხოსლოვაკურმა ფერმამ Let Kunovice ორადგილიანი სასწავლო პლანერი L-13 შექმნა. მართალია, მის ფრთას ისრისებურობის საკმაოდ მცირე კუთხე ჰქონდა, სამაგიეროდ, ის ამგვარი კონსტრუქციული თავისებურების მქონე პირველი სერიული პლანერი იყო. 1958 წელს, მისი სერიული წარმოების დაწყებისთანავე, პლანერმა დიდი პოპულარობა არა მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც და ჩრდილო ამერიკაში მოიპოვა, რაც უპირველეს ყოვლისა მისი მარტივი კონსტრუქციისა და მაღალი საფრენის მაჩასიათებლების დამახასიათებელია. ამას, თავის მხრე ნაწილობრივ ცვალებადი ისრისებურობის ფრთა უზრუნველყოფდა. სულ გამოუშვეს 2600-ზე მეტი L-13 და დღესაც კი ის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული პლანერია.

60-იანი წლების დასაწყისში გერმანული ინჟინრები ნაწილობრივ დაუბრუნდნენ უარყოფითი ისრისებური ფრთის კონცეფციას. — ფერმამ Hamburger Flugzeugbau მცირე სამგზავრო კლასის თვითმფრინავზე ამგვარი ტიპის ფრთის გამოყენება გადაწყვიტა. HFB.320 Hansa Jet-ი პირველად 1964 წლის 21 აპრილს აერინდა და მის უარყოფით ფრთას წინა წიბოზე 15°-იანი ისრისებურობა ჰქონდა. თვითმფრინავის სიგრძე 16,6 მ-ს, ფრთის გაქანა კი — 14,4

მ-ს შეადგენდა. ცარიელი Hansa Jet-ი 5425 კგ-ს იწონიდა, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 9200 კგ-ს აღწევდა. ძალური დანადგარის სახით თვითმფრინავზე კომპანია General Electric-ის CJ610-5-ის ტიპის ორი ტურბოპროპელსული ძრავა იყო გამოყენებული. წვეთი 1312 კმ/ს-ით, თვითმფრინავის ფრთის კრეისერული სიჩქარე 825 კმ/ს-ის შეადგენდა და ბორტზე მას 12 მგზავრის აყვანა შეეძლო. შესაბამისად, ის უფრო ბიზნესკლასის თვითმფრინავთა კლასს მიეკუთვნებოდა. 1966 წელს თვითმფრინავი სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. მალე 14 თვითმფრინავი რადიოელექტრონული მძიძოვის სისტემების ოპერატორების მოსამზადებლად და მაღალი რანგის პირების გადამსწავლად დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საავირო ძალებმა შეიძინეს. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავს საკმაოდ მარტივი კონსტრუქცია და ფართო სალონი ჰქონდა (უარყოფითი ისრისებურობის წყალობით ფრთის ლინკერონები სალონის უკან მოაქცევს), თვითმფრინავის სერიული წარმოება 1973 წელს მხოლოდ 45 თვითმფრინავის გამოშვებით დასრულდა.

1969 წელს პირველად აერინდა შვედური ფერმა SAAB-ის ორადგილიანი მსუბუქი თვითმფრინავი MFI-15 Safar-ი. მართალია, თვითმფრინავზე ფრთის კიდურა ნაწილები ძირეულიან შედარებით წინ ოდნავ არის წამოწეული, თვითმფრინავი მაინც უარყოფითი ისრისებური ფრთის კლასს მიეკუთვნება. თვითმფრინავი სასწავლო დანიშნულებისა იყო და მომავალი პილოტების საბოლოო მომზადებისთვის გამოიყენებოდა. მალე თვითმფრინავით სამხედროები დაინტერესდნენ და SAAB-მა მის ბაზაზე ახალი მოდიფიკაცია MFI-17 Supporter-ი შექმნა. მას ექვსი საკიდი დაუყენეს, რომლებზეც 300 კგ-ის ეკვივალენტის საბრძოლო დატვირთვის ჩამოკიდება იყო შესაძლებელი. ამ მოდიფიკაციის სერიული წარმოება 70-იანი წლების ბოლოს დაახლოებით 250 თვითმფრინავის გამოშვებით დასრულდა.




**შვედური MFI-15-ის ოცნებობიერი მსუბუქი წარმოება პაკისტანში დღესაც მიმდინარეობს**

თუმცა პაკისტანმა მისი წარმოების ლიცენზია შეიძინა და აწარმოებს სახელწოდებით Mushshak-ი. დღეისთვის თეთიმფრინავე დანის (32 ცალი), ნორვეგიის (23), პაკისტანის (149), სერია-ლეონის (2), ზამბიის (20), ირანის (25), ომანისა (8) და სირიის (6) სამხედრო-საპაერო ძალების შეიარაღებაშია.

70-იანი წლების დასაწყისში საავიაციო მასალათმცოდნეობამ წინ ძალზე წაწია და კომპოზიციური მასალების გამოჩენამ, კონსტრუქციის წინის დამატებითი გაზრდის გარეშე, ინჟინერებს ფრთის კონსტრუქციის სიხისტის ოპტიმალური სიდიდის ძალების საშუალება მისცა. ამან, თავის მხრივ, დასაჯელით უწყვიფოთი ისრისებურების ფრთებს განვითარების ახალი ბიძგი მისცა.

1977 წლიდან აშშ-ში თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევების სამმართველოს (DARPA) ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა მაღალმანევრული მოძიკალი საბრძოლო თვითმფრინავების იერის შესწავლაზე. კომპოზიციური მასალების გამოყენების წყალობით, მანევრულობის საჭირო მახასიათებლების მისაღებად პროგრამაში მონაწილე სამივე ფირმამ — General Dynamics, Rockwell და Grumman — თავიანთ თვითმფრინავებზე უარყოფითი ისრისებურობის ფრთები გამოიყენა. აუროდინამიკურ მძიმე მოვლედებზე ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ კომპოზიციური მასალების გამოყენებით შესაძლებელია ფრთის განსაზღვრულ რეჟიმებზე წარმოქმნილი დივერჯენციის დაძლევა. 1981 წელს DARPA-მ კონკურსის ფინალისტად ფირმა Grumman-ი და მისი თვითმფრინავი X-29A-ს პროექტი დაასახლა. მალევე ფირმასთან 80 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გაფორმდა თვითმფრინავის ორი სადელი ნიმუშის შექმნაზე. თანხებისა და დროის დარღვივის მიხედვით ახალი ექსპერიმენტული თვითმფრინავის შექმნისას შპსის წინა დარღვი და ფუზელაჟის ცხრა ნაწილი გამანად-



გურებელ F-5A-ისგან, შპსის ძირითადი საფრენები, სისტემები და საწვავის აგზები კი — F-16-ისგან ისესხეს. ფრთის სიმტკიცის გაზრდის მიზნით, ორლინგერონიანი ფრთის წინა ლინკერონი ტიტანისგან დაამზადეს, შემონაკერი კი ნახშირბადატვისიგან, რომლის ფენათა მაქსიმალური რაოდენობაც 156-ს აღწევდა.

თვითმფრინავი პირველად 1984 წლის 14 დეკემბერს აფრინდა და ის უარყოფითი ისრისებურობის ფრთის გამოყენებისას თვითმფრინავის საფეროინსონი და საპილოტაჟო მახასიათებლების შესაფასებლად იყო განკუთვნილი. X-29A-ს სიგრძე 16,4 მ-ს, ფრთის გაქაჩი 8,29 მ-ს შეადგენდა. ცარიელი თვითმფრინავი 6260 კგ-ს იწონიდა, მაქსიმალური ასაფრენი კი 8074 კგ-ს აღწევდა. ძალური დანადგარის სახით მასზე ფირმა General Electric-ის F404-GE-400-ის ტიპის ტურბოტრაქტიული ძრავა გამოიყენებოდა, რომლის სიმძლავრეც მუშაობის ფორსაჟულ რეჟიმზე 7260 კვძალას შეადგენდა. გამოცდებზე განვითარებულმა თვითმფრინავის მაქსიმალურმა სიჩქარემ 1770 კმ/სთ შეადგინა.

თვითმფრინავის საფეროინსონი გამოცდებმა ცხადყო, რომ ბეგრასთან მიახლოებული სიჩქარისას, უარყოფითი

ისრისებურობის ფრთის გამოყენების შემთხვევაში თვითმფრინავის სამანევრო შესაძლებლობები 20%-ით იზრდება, მაგრამ პირველ ეტაპზე თვითმფრინავის მართვაგობით მფრინავ-გამომცდელები უკმაყოფილო იყვნენ. მკვირი მანევრუებისას მართვის სახელეუბზე ძალზე დიდი ძალები მოდიოდა და მფრინავებს უჭირდათ მანქანის გასწორება, რის გამოც თავიდან იყო გაკრეფილი მართვის ელექტრონიკისტანციური სისტემის მუშაობის ადორიომები.

1989 წლის 18 მაისს პაერონი X-29A-ს მეორე საცდელი ნიმუში აფრინდა, რომელიც შტეტეის დიდ კუთხეებზე მანევრირების მაქსიმალურმა შესაძლებლობების დასადგენად იყო განკუთვნილი. მაქსიმალურმა შტეტეის კუთხემ, რომელიც საცდელი ფრენებისას იყო მიღწეული, 67,10 შეადგინა. პროექტის წარმატებლობის მიუხედავად, მას თავის სირთულეობა სდევდა. მართვის ელექტრონიკისტანციური სისტემა მუდმივ გადამწობას საჭიროებდა და მისი ოპტიმალური მუშაობის ადორიომების შერჩევა ძალზე გართულებული იყო — იმდროინდელი კომპიუტერული ტექნოლოგიები არ იყო იმდენად სრულყოფილი. გარდა ამისა, დივერჯენციასთან ინჟინრები მანც უძლებრი აღმოჩნდნენ. თანდათანობით სამხედროების ინტერესი X-29A-ს მიმართ განელდა — იმ პერიოდში აქტიური უკვე ნაკლებშემწევალობის პრობლემებზე იყო გადატანილი და მაღალმა მანევრუობამ უკანა პლანზე გადაიწია.

პროგრამის ღირებულებამ დაახლოებით 250 მილიონი დოლარი შეადგინა. პირველი თვითმფრინავის გამოცდების პროგრამა 1988 წლის 2 დეკემბერს, 254 საცდელი გაფრენის შემდეგ დაიხსნა, მეორე თვითმფრინავისა კი — 1991 წლის 30 სექტემბერს, 120 საცდელი გაფრენის შემდეგ. ამჟამად ორთვე თვითმფრინავის მიერ შესრულე-

# „ლიბა“

სამკურნალო ბაბრთიანება



## სამსოვათოლოგია

- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მილოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24



**X-29A-ს საფრენოსო გამოცდებისას მიღებული მანევრების მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად, დივერგენციამ ბარათულმა პილოტრებამ პროექტზე დამღუპველად იმოქმედა**



ბულმა საცდელმა ფრენებმა 347 შეადგინა, რაც „X“ სერიის ნებისმიერ ამერიკული ექსპერიმენტული თვითმფრინავის მიერ შესრულებულ საცდელ ფრენებზე მეტა.

80-იანი წლების მეორე ნახევარში აშშ-მ შეიარაღებოთ ფირმა Raytheon Missile Systems-ის მეორე თაობის ფრთოსანი რაკეტა AGM-129A მიიღო. ამ რაკეტის ფრთებსაც, რომლებიც სტარტის შემდეგ იშლებოდა, უარყოფითი ისრისებურბაჟი ჰქონდა. თუმცა ამ შემთხვევაში ეს გარეობა უფრო ნაკლებშემწველობის ამოცანებით იყო განპირობებული.

70-იანი წლების ბოლოსთვის საბჭოთა კავშირში მჭეუთ თაობის პერსპექტიული გამანადგურებლის იერზე დაიწყეს მუშაობა. ახალ თვითმფრინავს განადგურება, ზებეკრითი სიჩქარე ფრენის კრესერულ რეჟიმებზე და ნაკლებ-შემწვევადობა. მჭეუთ თაობის თვითმფრინავს უნდა ჰქონოდა ახლო საჰაერო ბრძოლაში მტერზე სხვადასხვა კუთხიდან შეტევის შესაძლებლობები. იგეგმებოდა საბორტო ინფორმაციული სისტემების ავტომატიზება და ბრძოლისას რეალურ დროში ინფორმაციის გაცემა ტელეკოლური საშუალებებით პროექტზე მუშაობა სუხოის საკონსტრუქტორო ბიურომ დაიწყო. იმ პერიოდში ფირმის გენერალური კონსტრუქტორი მიხაილ სიმონოვი იყო — კაცი, რომელიც უარყოფითი ისრისებურბის ფრთებში დიდ



**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, Cy-47-ის პროექტზე მუშაობა მხოლოდ სუხოის ფირმის ინიციატივითა და ფინანსებით ხდებოდა**

მოძაგლს ზედა და ამიტომაც მისი ინიციატივით პერსპექტიულ თვითმფრინავზე ამგვარი სექმის ფრის გამოყენება გადაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში იცნობდნენ X-29A-ის პროგრამას და მისი მარცხის მიზეზებსაც.

ახალი თვითმფრინავის შექმნა Cy-27-ის ბაზაზე გადაწყდა და დღევანდელის დაძლევა, რომელსაც ამერიკელებმა კერაფერი მიუხერხეს. Cy-27-სა და MiG-29-ზე აპრობირებული ფრის

გადაზრდა ცხვირების გამოქვეყნების შემდეგ. 1991 წლამდე თვითმფრინავზე მუშაობა სრული სელით მიდიოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პროექტის დაფინანსება შეწყდა და სუხოის საკონსტრუქტორო ბიურომ მასზე მუშაობა მხოლოდ საკუთარი ინიციატივითა და ხარჯებით გააგრძელა. იმ პერიოდისთვის თვითმფრინავს უკვე ჰქონდა მინიჭებული ნიშნული C-37. პროექტი მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ 1996 წელს დასჯელურ ფურნალებში უარყოფითი ისრისებურბის მქონე ორკლანბი თვითმფრინავის ფოტოები მაინც გამოქვეყნდა.

1997 წლის 24 სექტემბერს თვითმფრინავი პირველად აფრინდა პაერში მისი სიგრძე 22,6 მ-ს, ფრისი გაქანი კი 16,7 მ-ს შეადგენს. ცარიელი თვითმფრინავი 24000 კგ-ს იწონის, მაქსიმალური ასაფრენი წონა კი 34000 კგ-ს უტოლდება. თვითმფრინავი გვემის თანახმად, თვითმფრინავზე Al-41F-ის ტიპის ძრავები უნდა დაეყენებოდა. წვეის ვექტორის მართვის სისტემით. თუმცა C-37-ზე ორი D-30FD დააყენეს, წვეით მუშაობის ფორსაჟულ რეჟიმზე 15500 კგძალა. თვითმფრინავის ზუსტი საფრენოსო მახასიათებლები უცნობია, თუმცა არსებული ცნობებით მისი ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 2200 კმ/სთ-ია და მაქსიმალურ 18000 მ-ზე შეუძლია ფრენა. ცხვირში დაეყენებული რადიოლოკაციური სადგურის გარდა, უკანა პორიზონტალურ ფრთასხმულობასა და ძრავების საქმენებს შორის, ალბათ, უკან ზედასი ანტენებია განთავსებული. სხვადასხვა დანიშნულების რადიოლოკაციური ანტენები, საჰაერაულოდ, ვერტიკალური ფრთასხმულობის ბოლოებში, წინა პორიზონტალურ ფრთასხმულობასა და ფრისის ნასლეკქმშია განლაგებული, რაზეც რუსული რადიოგამჭვირაველ გარსშემომდენებისთვის დამახასიათებელი თეთრი საღებავი მტკვევდება.

**თანამედროვე საავიაციო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიუხედავად, უარყოფითი ისრისებურბის თვითმფრინავების „მოთვინიერება“ კონსტრუქტორებისთვის ჯერჯერობით მიუღწევად ოცნებად რჩება...**





# პანამა კვირ ნაცვლად?!

ფართო პუბლიკას თვითმფრინავი პირველად 2001 წელს, მოსკოვის საერთაშორისო ავიაკოსმოსურ სალონზე **MAKS** წარუდგინეს. მას შემდეგ, წლები გასულიყო ავიასაღონის გარდა, თვითმფრინავი უკვე სკოლაში გამართულ ვეფლა ავიასაღონის სტუმრობდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საღონში თვითმფრინავი მხოლოდ საფრენის პროგრამის სახით მონაწილეობდა და ისიც საჩუქრულ ფრენას მხოლოდ სუბიის ფირმის სხვა გამანადგურებლებთან ერთად ასრულებდა.

არსებული ცნობით, 2002 წლისთვის თვითმფრინავს, რომლის ნიშნულაც - 47-ზე შეცვალეს და სახელადაც **Беркут** უწოდეს, 150-ზე მეტი საცელი გაფრენა პეინდა შესრულებული. რა თქმა უნდა, თვითმფრინავის შექმნა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა და მის სერიულ წარმოებაში ჩაშვებას არავინ ფექობდა. რეალურად შეიქმნა თვითმფრინავის მხოლოდ ერთი მფრინავი პროტოტიპი არასამტატო ძრავებით, საბორტო რადიოელექტრონული კომპლექსის არასრული კომპლექტით. ის უმეტესწილად მფრინავი ლაბორატორიის სახით, საფრენისო მახასიათებლების დასადგენად და პლანერის შეთანწყობის საკითხების გადასწვევლად გამოიყენებოდა. ამიტომაც მასზე შეიარაღების განთავსება არ ხდებოდა.

დიდი ძალისხმევით მიუხედავად, სუბიის ინჟინრებმა თვითმფრინავის ერთაზე გადახრადი ცხვირების გამოყენებით მაინც ვერ შეძლეს დეკორაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. სამაგიეროდ, თვითმფრინავის შექმნისა და გამოცდის მიღებული გამოცდილება მუხუთე თაობის **ПАК ФА-ს** შექმნას დაელო საფუძვლად, რომელსაც **Су-47**-ისგან განსხვავებით დაღებითი ისრისებურობის მქონე ფრთა აქვს.

## თეხურ აულუხაშვილი



მოგვსენებათ, სამხედროების აღჭურვილობაში აუცილებელი ატრობუტა თუ საბურჯი — ქუდი. მისი მრავალი სახეობა არსებობს. ქართველი ჯარისკაცების სამხედრო ფორმაში შედის კუბის ტიპის ქუდი, რომელსაც ბევრი ნაკლი აქვს. კერძოდ, არ იცავს ყურებსა და კისერს მზის დაწერებისაგან.

ითქვინ უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ სამედიცინო თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი! ყურის დამწვრობა იწვევს ინსოლაციურ დერმატიტს, დეზორინტაციას, ტკივილს... (ტკივილი ნერვული ქსელის საშუალებით გადაეცემა ირვლეო მეტაბოლ ქსოვილებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თვალის, კბილის, თავის ტკივილის პროციფირება). ყურზე არსებობს ნერვული დაბილოებები, რომელთა გაღიზიანება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ორგანიზმ ფუნქციონირებაზე, კერძოდ, გულის მუშაობაზე, სუნთქვის ცენტრზე და ა.შ.

ბერი ქვეყნის ჯარი პანამას ტიპის ქულებს ანიჭებს უპირატესობას. ამ ტიპის ქუდი კიდევ უფრო გააუმჯობესეს ამერიკელებმა (ვაზარდეს ქუდის ფორმა). გაცილებით უარეს შედეგს იწვევს კისრის დამწვრობა. კუფის მიდამოსა და კისრის გადახრება მცხუნარე მზის სხივებით აუარესებს ორგანიზმის ამტანობას, ბროლიოსუნარიანობას. მზის სითბურ დარტყმას და კანის სიდამწვრეს მწვეობრიდან გამოიყვოს ორგანიზმი.

საქართველო ცხელი კლიმატის ქვეყანაა. უმეტესად მზიანი დღეებია ჩვენს ქვეყანაში. ჯარისკაცს დიდხანს უწევს მზეზე დგომა. პირადად მე საავადმყოფოში ემუშაობ. ბევრი სამხედრო თუ რეზერვისტი მოვიდა ჩვენთან, განსაკუთრებით ავკისტის ომის დღეებში — ყურებისა და კისრის მიდამოს მზის სხივებით გამოწვეული დაზიანებით სხვათა შორის, სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი ქართველი სამხედროს ამოცნობა ძალიან ადვილია. — მას გავითლებული და ზოგჯერ დამწვარი ყრუები აქვს.

პრობლემა შეიძლება სულ ადვილად მოგვარდეს, — კუბის ტიპის ქუდი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იცავს თავს, შუბლსა და ცხვირს, შეიცვალოს პანამას ტიპის ქუდით.



მეორე საკითხი: მზის ულტრაიის-ფერი სხივები თვალს აზიანებს. იწვევს თვალის კატარაქტას, შუქმიმდებე უჯრედების დამწვრობას. თუ დაუკვირდებით ვეფლა უცხოელი ჯარისკაცის აღჭურვილობაში შედის მზის სათვალე, მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლება ამ მავნე დაავადების თავიდან აცილება. მართალია, ეს შედარებით ძვირად ღირებულია, მაგრამ როცა ლაპარაკია ქართველი ჯარისკაცის ჯანმრთელობაზე, ამ პრობლემაზე აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება.

## მიიმი ბაბიი კალანდაძე





# „ბაზაინი“ რეკლამა მასზე!



ზეიკური სამყაროს დაკრობის სურვილმა იკაროს აიძულა ფრენდელიისთვის მიებაძა და ფრთები გაიკეთა. ფრთები მოიშუღლეს კომიქსების შექმნელებმაც, შემდეგ კი მოძალდის ფანტასტიკური გმირთა გმირის, ბეტმენის ბლოკასტერების სერიები შეიქმნა. ბოლო დროს კი ფრთიანი მეომრის იდეა კვლავ აქტუალური გახდა.

შეიქმნა კომპანია Special Parachute Equipment and Logistics Consortium GBR და საცდელ წარმობაში გაუშვა საგანგებო ტექნიკური დანიშნულების საპარაშუტო-პლანირება და სისტემები („Gryphon“). ეს სიტუა აქველ ბერნულ მიოლოგიურ ფანტასტიკურ არსებას უნდა ნიშნავდეს, რომელსაც ლომის ტანი, არწივის ფრთები, თაყი კი ზოგჯერ ლომის არ არწივსა ჰქონდა, ანდა მტაცებელ ფრენველ გვიფს, რომელსაც სპილოს ძეხნისას დიდხანს შეუძლია პაჟირი ფრთებგუნძრევად ფრენ-ალფიფი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრადიციულ საპარაშუტო სისტემებს და სამხედრო-საპარაშუტო ღესანტის გადსხმის ხერხებს ერთი, ყველაზე არსებითი უარე-

ოფითი ახლავს, — ესაა მოქმედების არასაკმარისი დაფარულობა. საშუალო და დიდი ზომის სტრანსპორტო თვითმფრინავების, რომლებიდანაც ძირითადად ხდება დესანტირება, მოწინააღმდეგვისათვის დაფარვა ერთობ მწიელი საქმეა. მწიელი აგრეთვე თვით დესანტის დაცვა, თითოეული პარაშუტისტი ხომ თითქმის ვერტიკალურად ეშვება და სანამ დედაქალაქი უფს არ დადგამს, თავდაცვის არაერთი საშუალება არ გაჩინა. არადა თავად დესანტირების ოპერაციის არსი მოითხოვს უპირველეს ყოვლისა მოულოდნელობას (დაფარულობას), მოქმედების სიფაქიზესა და სიზუსტეს. ამის მისაღწევად კი საჭიროა ღესანტის ისეთი დიდი სიმაღლიდან გადმოსხმა, როცა მარტო პარაშუტისტი, არამედ თვითმფრინავი შეუძნელები იქნება მოწინააღმდეგისათვის. ამ შეთობა High Altitude/High Opening-ი, ანუ შეიკლებით HAHO აღნიშნა მიიღო, რაც ინგლისიდან რომ სიტყვასიტყვით ვითარებო, ნიშნავს „დიდი სიმაღლიდან გადმოსხმა და პარაშუტის დიდ სიმაღლეზე გახსნას“. მეორე აღნიშნა High Altitude/Low Opening-ი (HALO) — „დიდი სიმაღლიდან გადმოსხმა და პარაშუტის გახსნის დიდი დროით შეფერება“. სწორედ იოლად დესანტირებას უნდა შეუწყოს ხელი „გრაიფინის“ კომპლექტის სისტემამ. ეს სისტემა საშუალებას იძლევა არსებითად ამაღლოს დაშვების სიზუსტე და გაზარდოს პლანირების სიშორე 4-5-ჯერ (10 კმ სიმაღლიდან გადმოსხმისას პარაშუტისტს „გრაიფინის“ საშუალებით შეეძლება პორიზონტალურად მინიმუმ 40 კმ მანძილ დაფაროს), გარდა ამისა, მდესანტირების დაშვების სიჩქარე კომპლექტ „გრაიფინის“ წყალობით საგრძნობლად იზრდება, ფრენა კი საპარაშუტო ნაკადების მოძრაობას ნაკლებ ექვემდებარება. გარდა ამისა, სწრაფად დაშვებისას პარაშუტისტი უფრო ნაკლებ დროს იმყოფება დაბალ ტემპერატურულ და შესაბამისად ნაკლებ ჟანგბადს ხარჯავს სპეციალური სასუნთქი აპარატით, ხოლო პარაშუტის უშუალოდ მიზნის თავზე გახსნა და „გრაიფინის“ ფრთების ფართობის სიძირე ძიშვნელოვნად ამცირებს მდესანტის ექვემდებარებას ამცირებს ზედაპირს.

საგანგებოდ ხზავსმის ღირსია ის ფაქტი, რომ სისტემის შემქმნელების მიერ ჩატარებული ცდებისას „გრაიფინით“ ეკვიპირებული მდესანტის აღმოჩენა ძალიან გაუჭირდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბაზირების სხვადასხვა დაბაზირების მქონე სარადიოლოკაციო სადგურებს.

დაშვების სიზუსტის ასამაღლებლად და პლანირების ოპტიმალური მარშრუტის შესარჩევად (ზუსტად დასაშვებად) კომპლექსს აქვს ნავიგაციისა და სტიბილზაციის დამატებითი სისტემები, რომლებიც მდესანტირების საშუალებას აძლევს ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი მაღალეფექტიანად გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგარი ამოცანები, აგრეთვე მოახდინონ ფრენა-დაშვება რელიეფის გათვალისწინებით რეჟიმში. გათვალისწინებული ასევე „გრაიფინზე“ მცირეგაბარიტული ტურბორეაქტიული ძრავის დაყენება, რომლებსაც უპილოტო საფრენ აპარატებზე იყენებენ. ასეთ შემთხვევაში ამ კომპლექტით აღჭურვილი მდესანტის პორიზონტალური ფრენის სიშორე 100 კილომეტრსაც მაღლესს, ხოლო თუ მეტეოპირობებზე შეუწყოს ხელი, ფრენის სიშორე შეიძლება 200 კილომეტრს მიაღწიოს.

საბოლოო კომპლექტ „გრაიფინის“ შემადგენლობაში შემდგვი სპეციალური მოწყობილობებია: ფრთის საბაზო კონტრუქცია, სათავის დაკვიცილი პარაშუტისთვის და საბარგო სათავის; ფრენის ავტომატური კონტროლის სისტემა, საგანგებო GH მარკის მუხარადი, დიდი სიმაღლიდან დესანტირებისათვის; სასუნთქი აპარატი OXYJUMP დიდი სიმაღლიდან დესანტირებისათვის; რუხნაბეჭდილი სასუნთქი აღჭურვილი პორტატული რადიოგამომცემის სისტემა; GPS-სიგნალების მიმდევარ საწვავიკაციო სისტემა, მუხარადის ზედა ინდიკატორი და პორტატული PDA-კომპიუტერიც ფრთაპლანირებისა და საბარგო ნაკვეთის ექსტრემალური მოცილებისა და საფრენი პარაშუტის გახსნის სისტემა.

— ძირითადი საპარაშუტო სისტემა — საბაზო ვარიანტი დაკომპლექტებულია TW9340 ტიპის პარაშუტით, მაგრამ კომპლექტ „გრაიფინის“ დამკვეთის სურვილით კომპლექტი შესაძლებელია აღი-

ჭეროს სხვა ტიპის საპარამუტო სისტემებით, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით TW9340-ის ანალოგიური იქნება. „გროფინის“ განსახელებული თვისებურება მისი პროექტირებისას „სტელსის“ ტექნოლოგიის გამოყენება. გარდა ამისა, განსაკუთრებულ პირობებში საბარგო ნაკვეთურში არასტანდარტული ტვირთის მოთავსების აუცილებლობისას, შესაძლებელია პლანერის ფორმის შეცვლა. საბაზო ცარიული საბრძოლო მოედლის წინა 15 კილოგრამაა. დამატებითი მინიზომიერი დატვირთვის შემთხვევაში წინა 50 კილოგრამს აღწევს, ხოლო მაქსიმალური (სასტარტო) მასა ტვირთთან, მედვანტესა და TW9340 მარკის პარამუტთან ერთად 225 კილოგრამს აღწევს. მაქსიმალური სიმაღლეა (10 კმ) გადმოზომილობის მიწაზე დაშვების (ფრენის) სიჩქარე 15 წუთს არ აღემატება.

კომპლექტ „გროფინის“ აღჭურვილი მედვანტის შესაძლო ფრენის სიჩქარე საათში 400 კილომეტრს აღწევს, პლანირების დროს კონსერვული სიჩქარე — 150 კილომეტრია, ხოლო კომპლექტის დამპროექტებულთა რეკომენდაციით პლანირების ოპტიმალური სიჩქარე 2 კმ სიმაღლიდან გადმოზომილობისას 200 კილომეტრია საათში. 10 კმ სიმაღლიდან გადმოზომილობის კი ოპტიმალურ 200 კილომეტრია რეკომენდებული. კომპლექტ „გროფინის“ საბაზო მოდული შემაჯავდი დიდი სიმაღლეებიდან დესანტირებისათვის განკუთვნილი GH-1 მარკის მუზარადი, ძირითადად, HAHO და HALO ტიპის დესანტირების სტანდარტული ატრიბუტია. მუზარადი სპეციალურად მსგავსი საგანგებო ამოცანებისთვისაა დამუშავებული, აქვს მოდული კონსტრუქცია და მისი გამოყენება შეიძლება განგაღობის სასურველ ნივთთან ერთად. აღჭურვილია სანავიგაციო მოდულით. მუზარადგარე ინდიკატორითა და დამის ხედვის სათვალთი. მუზარადის

კონსტრუქციის (ფორმის) შეცვლა შესაძლებელია შექმნილი სურვილის გათვალისწინებით ან აუცილებლობიდან გამომდინარე. მუზარადი გაკეთებულია კვლარისებურ ნივთიერებით, დარტყმაგამძლე მასალისგან არის შეკრებილი. მუზარადთან შეერთებულია სპეციალური თერმობაზოლირებელი მოსასხამი. არსებობს საგანგებოდ შექმნილი მოდული იმ სამხედროებისათვის, რომლებიც სათვალეს მუდმივად ატარებენ.

კომპლექტ „გროფინის“ კიდევ ერთი ყურადსაღები ელემენტია აპარატი OX-YJUMP-ი, დიდ სიმაღლეებზე სასურველ მონივრობისა, რომელიც თავიდან გერმანიის საგანგებო ოპერაციების ძალებისა და ამავე ქვეყნის საჰაერო-სადესანტო ჯარების დაკვირვით დაშვდა. „ოქსიჯამპი“ შედის იმ საგანგებო კომპლექტების სიაში, რომლითაც ეკვიპრდება საგანგებო ძალების ქვედანაყოფები. ამ სისტემით აღჭურვილმა მედვანტემ გადმოზომილობაზე 30 წუთით ადრე უნდა დაიწყო სასურველ მონივრობის გამოყენება, რომ კიდევ 30 წუთი იხსნეთოს ასპირაციონთან განგაღობით მოცემულ სისტემას მოდული პრინციპის აგებულება აქვს. „ოქსიჯამპის“ გამოყენება მიზანშეწონილია 10 კმ სიმაღლიდან დესანტირებისას, ხოლო განგაღობის, რომლის წწყება 200 bar-ია, მოთავსებულია ბალირებში.

„ოქსიჯამპის“ ტიპის მოდულის კომპლექტში შემდეგი ელემენტები შედის: — სტანდარტული მუზარადი; — სხვადასხვა ზომის განგაღობის სასურველი ნივთი; — განგაღობის მიწოდების რეგულატორი, რომელსაც ავტომატური ACOV ტიპის გამანაწილებელი მონივრობისა და განგაღობის გაჯერების სარქველი აქვს; 2 ლიტრის ტყედილობის ძირითადი განგაღობის ბალირი თავისი მონოპეტრითა და წნევის რეგულატორით. გამოიყენება მედვანტის წინასწარი სურთქვისათვის

(გადმოზომილის წინ), რაც ძირითადი მერინაეი აპარატმატრებლის სურთქვის სისტემის გამოყენებას გამოიცხავს კონსტრუქციის მიხედვით. 1 ლიტრი განგაღობის ტყედილობის „საითადარგო ბალირს“ თავის რეგულატორითა და მონოპეტრით მედვანტე ფრენის (დაშვება) დროს იყენებს.

განგაღობის მოხმარების რეგულატორი დაპროექტებული რეჟიმში გადმოზომილობის სიმაღლეს და ფრენის ხანგრძლივობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს განგაღობის გაჯერებას, ხოლო ავტომატური გამანაწილებელი სარქველი ACOV ავტომატურად გადართავს ხილმე ძირითად განგაღობის ბალირს საითადარგო სხე, რომ მედვანტეს განგაღობის მიწოდება არ უწყდება. ბალირებს შორის გადართვა ავტომატურად ხდება იმ შემთხვევაში, როცა ძირითად ბალირში წნევა 4 bar-ზე ქვემოთ ეცემა და რიცა ძირითადი ბალირი შექმნილია გამოირთვება ხილმე. მაგრამ, თუ სისტემას უურთოდება მხოლოე ძირითადი განგაღობის ბალირი, მაშინ ACOV-სარქველი ავტომატურად გადართავს მისგან განგაღობის მიწოდებას. ერთი ბალირიდან მხოლოე ბალირზე გადასვლის ფაქტი აისახება საგანგებო ალამ-მათვებელზე, რომელიც სარქველზეა მოთავსებული. ჩვეულებრივი განგაღობის ძირითადი ცილინდრი დესანტირის გადმოზომილობას იძულებულით, ავტომატურად გამოირთვება ხილმე. კომპლექტი „გროფინი“ საკმაოდ კომპაქტია. მისი საგაბარტიო მახასიათებლები ასე გამოიყურება: გამოდილი ფრთების ზომა — 1,8 მ, სიგრძე — 1,5 მ, ხოლო სიმაღლე — 0,43 მ. კომპლექტის სიმაღლე რეგულატორა მისი ადგილად შენახვისა და გადატანის საშუალებას იძლევა. დღემდე ცნობილი არ არის, შეიძინა თუ რა მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის საგანგებო სამსახურმა ან შეიარაღებულმა ძალებმა კომპლექტი. არც „გროფინის“ გამოცდის ან მისი რომელიმე ქვეყნის არმიაში საცდელად გამოყენების შესახებ არსებობს დაზუსტებული ცნობები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცემული პროექტი საინციტატივო რეჟიმში დაშუადა იმ იმედით, რომ პოტენციური მყიდველები სათანადოდ შეაფასებენ იმ შესაძლებლობებს, რომლითაც მათ „გროფინი“ სთავაზობს. საბოლოოდ კი მათი ინტერესი კონსტრუქტის დადგამაში აისახება. ამასთან დაკავშირებით წარმოიშება ერთი ფრიად ყურადსაღები კითხვა: შეუძლებენ კი კომპლექტ „გროფინის“ დამპროექტებლები და მწარმოებლები ამ აღჭურვილობის ტვირთისტა და კრიმინალთა ხელში მიხედვრის თაიდან აცილებას?



# რითი გვემუქება ნოვოროსიისკის საზღვაო მესაზღვრეთა ბრიგადა



საპატრულო კატარღა „მუზანი“ (პროექტი 1241П)



საპატრულო კატარღა „ნოიბრსკი“ (პროექტი 14230 „სოკოი“)



„ტრიფის“ პროექტის საპატრულო კატარღა

ნოემბრის ბოლოს ოკუპირებული აფხაზეთის პორტ ოჩამჩირეში რუსეთის საოკუპაციო ჯარების სანაპირო დაცვის დივიზიონის ფორმირება დასრულდება, რითაც საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთზე საზღვაო სივრცესა და საზღვრებს კონტროლს ახალშექმნილი დივიზიონი გაუწევს.

დივიზიონი ნოვოროსიისკის 21-ე ცალკეული სასაზღვრო-სადარაჯო ზომადების ბრიგადის საფუძველზე იქმნება. ამ სასაზღვრო-საზღვაო შენაერთის დიდი ხნის წარსული არა აქვს, — მისი ისტორია 1987 წლის იანვრიდან იწყება.

ამჟამად ბრიგადა შავი ზღვა-აზოვის სანაპირო დაცვის სასაზღვრო სამმართველოს დაქვემდებარებაშია და სოჭის, თშირუიკისა (აზოვის ზღვა) და ოჩამჩირის (ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება) ცალკეული დივიზიონებისაგან შედგება.

გარდა ამისა, ბრიგადის მცურავი საშუალებები ბაზირებულ რუსეთის კავკასიის სანაპიროს თითქმის ყველა საზღვაო პორტში, სადაც საზღვრის გადაკვეთა ხდება. ასეთებია: ანაპა, ტუაფსე, გელენჯიკი და სხვ.

ადრეულ წლებში ბრიგადის ძირითად ნაწილს „სტენკები“ (პროექტი 205П) და „გორფები“ (პროექტი 1400А) შეადგენდა. იყო რამდენიმე წყალქვეშა ფრთებიანი „ანტარესიც“ (პროექტი 133).

1988-91 წლებში ბრიგადას „მოლნია-2“-ის (პროექტი 1241.2/1241П) სამი და „სვეტლიაკის“ (პროექტი 10410) პროექტის ერთი კატარღა შეემატა, ხოლო 2007 წლიდან კი შევსება უახლესი პროექტების მცურავი საშუალებებით მიმდინარეობს. ეს პროექტებია: მოდერნიზებული „სვეტლიაკი“ (პროექტი 10412), „სიბოლი“ (პროექტი 12200), „მანგუსტი“ (პროექტი 12150), „სოკოი“ (პროექტი 14230) და სხვ.

მცურავი საშუალებების განახლებას რუსები ხშირად 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირებენ, მაგრამ რეალურად ამის უკან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები დგას.



ძველი და ახალი პროექტების ტექნიკურ-ტაქტიკურ მანასიათბლებსა და შეიარაღებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

საბჭოთა ხანაში აგებული ხომაღლები თუ კატარღები სასაზღვაო-საპატრულო და სამხედრო-საზღვაო თვისებათა ერთგვარ ნაზუს წარმოადგენდა, ამიტომაც შეიარაღებაში შედიოდა 76 მმ-იანი საარტილერიო სისტემები, სატორპედო აპარატები, წყალქვეშა ნაუბობის ბრძობის საშუალებები და სხვ.

ახალი პროექტების კატარღების დანიშნულება მხოლოდ სასაზღვაო-საპატრულო სამსახური და სამოქალაქო გემების დაცვაა, ამიტომ მთავარი ყურადღება მაღალ სიჩქარესა და მანევრულობაზეა გადატანილი. აქვს თანამედროვე სანავიგაციო, კავშირისა თუ საზღვაო სივრცის კონტროლის ეფექტური საშუალებები.

შეიარაღებიდან მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრეკვები და წვრილკალიბრიანი ავტომატური საარტილერიო სისტემები დარჩა, რაც საზღვრის დამრღვევი გემების დაცვისასთვის სრულიად საკმარისია.

„სობოლეს“ და „მანგუსტეს“ სანქტ-პეტერბურგში გემოსაშენი ფირმა „ალმაზის“ ვერფი აგებს.

პირველი „სობოლი“ (საქარხნი №200) მშენებლობა 2003 წლის 24 იანვარს დაიწყო და რუსეთის სანაპირო დაცვას 2006 წლის 4 ნოემბერს გადაეცა. შემდეგ კატარღა შიდასამდინარო გზებით შვე ზღვაში გადმოვიდა და იმავე წლის 21 დეკემბრიდან სამსახურს ნოეოროსიისკის ბრთვადის სოჭის დივიზიონში შეუდგა.

მეორე „სობოლი“ (საქარხნი №201) შიდა 2008 წლის ბოლოს იყო და ისიც სოჭის დივიზიონში ჩაირიცხა, მაგრამ ექსპლუატაციის პროცესში ტექნიკური პრობლემები ჰქონდა და ტუაფსეს გემოსარემონტო ქარხანაში დგომამ მოუწია.

ფირმა „ალმაზის“ 2007 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2008 წელს შეკეთა კიდევ ორ „სობოლზე“ იგი მოსალოდნელი, დამკვეთისათვის კატარღების 2011-სა და 2012 წლებში გადაცემის ვადებით.

ავიუსტოს ომის შემდეგ რუსეთმა სამხედრო მიზნებისათვის დაფინანსება გაზარდა, რომელიც სამხედრო გემომშენებლობასაც შეეხო და კატარღების აგების ტემპმა შესამჩნევად მოიმატა.



„სობოლის“ პროექტის საპატრულო კატარღა



საპატრულო კატარღა „მანგუსტი“ (პროექტი 10412 „სივგტლიაიკი“)



საპატრულო კატარღა „ალმაზი“ (პროექტი 10410 „სივგტლიაიკი“)

„ალმაზის“ გემოსაშენი „სობოლებს“ კონვეიერული სისტემით მშენებლობაზე გადავიდა და მისი შედეგები ძალიან მაღელ ვახდა თვალსაჩინო.

სანქტ-პეტერბურგის ვერფმა 2009 წლის 9 ივნისს წყალში კიდევ ერთი „სობოლი“ (საქარხნი №204) ჩაუშვა, მაგრამ საზეიმო ღონისძიება შამპანურის ბოთლმა გააფუჭა. ტრადიცი-

ისამებრ, ბოთლი კატარღის ბორტზე მირტყმით რატომღაც მხოლოდ მჭეუთ (ცნაზე) გატყდა.

13-14 ავისტოს კატარღა გემ „ოენ ბელაუზე“ დიტივითა, რუსეთის შიდა წყლების სისტემის გეოლოგი შვე ზღვაში ჩამოვიდა და ბრძობის შემადგენლობაში საბორტო №639 მივიღო.

2009 წლის 18 სექტემბერს ნო-

საპრეზიდენტო იახტა „სოსტა“ (პროექტი 21600)



საპრეზიდენტო იახტა „კავკაზი“



სოჭის პორტში რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს „მანგუსტის“ პროექტის კატარა და „ვალერი ზამარაევი“



ვიროსისკე 21-ე ბრიგადის ჩამოწერ-ლი ბოლო ორი „ანტარესის“ სანაცვ-ლოდ „სობოლი“ №639 და „მანგუსტი“ №652 გადაეცა.

გემოსაშენმა 9 სექტემბერს მომ-დევნო „სობოლი“ (საქარხნი №205) და 21 ოქტომბერს „სობოლი“ (საქარხნი №206) მშენებლობა დაასრულა და წყ-ალში ჩაუშვა. გემომშენებლები კი

პირობას დებენ, რომ წლის ბოლომდე კიდევ 3 კატარდის აგებას დაასრულე-ბენ.

ალბათ, ეს კატარლებიც საქარხნო გამოცდების შემდეგ შვე ზღვაში გამოცდებიან. სულ კი „სობოლის“ სერია დაახლოებით 30 კატარაღზუვა გათე-ლილი და თითოეული საშუალოდ 9 მილიონ დოლარზე ცოტა მეტია ღირს.

„სობოლის“ პროექტის კატარლებ-ის დანიშნულებაა: საზღვრის, სანა-პირო კომუნიკაციებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ბრძოლა ტერორ-იზმიან, ეკონომიკური ზონის კონტრო-ლი.

ორი „სობოლი“ (საქარხნი ნომრები №202 და №203) თურქმენეთისათვის აიღო. არის დანტერენება აზერბაიჯან-ისა და ყაზახეთის სასაზღვრო უწყვე-ბიდანაც.

„ალმაზის“ მეორე პროექტის — „მანგუსტის“ პროექტის კატარლების დანიშნულებაა: მორიგეობა, ტერიტო-რიულ წყლებში გამოძახებით მოქმედე-ბა და პირტის ღია რეიდებსა თუ შიდა სრუტეებში ცურვის რეჟიმის დაცვის კონტროლი.

კატარა სასაზღვრო-საპატრულო და სამოქალაქო-სამაშველო სამსახ-რებისათვის იგება. ამ ბოლო ვარიან-ტში შეიარაღებას არ ატარებს. რამ-დენიმე „მანგუსტი“ რუსეთის საგანგე-ბო სიტუაციების სამინისტროს ქვედან-აყოფთა განკარგულებაშია.

ნუოროსისისკის ბრიგადის შემად-გენლობაში ვერჯერობით სამი „მან-გუსტი“ ირიცხება და ერთ-ერთის საბ-ორტო ნომერია 652.

შვე ზღვაში კიდევ ერთი ახალი პროექტის საპატრულო დანიშნულებ-ის კატარა და „ნოიბარსკი“ გამოჩნდა, რომელიც ნიჟნი-ნუგოროდში გემო-საშენმა ქარხანა „ვოლგამ“ „სოკოის“ პროექტით ააგო.

ზოთი დასახლებული კატარლებ-ის გარდა, ნუოროსისისკის ბრიგადის შემადგენლობაში სამსახურს აგრ-ძელებენ ძველი პროექტების შემდეგი კატარები: № 041 ПСКР-808 „გრი-ფო“, № 040 ПСКР-811 „ორღანი“, № 042 ПСКР-814 „სარაზი“ (პროექტი 1241.2); № 043 ПСКР-651 „ნო-ნუოროსისისკი და № 149 „ყუბანი“ (პროექტი 1241ПЭ); № 028 ПСКР-906 „სოჭი“ და № 044 ПСКР-925 „ომალიევი“ (პროექტი 10410); № 310 ПСКР-927 „ვალერი“ (პროექტი 10412); № 637 ПСКА-545, № 639 ПСКА-513, № 655 ПСКА-503, ПСКА-516, ПСКА-553, ПСКА-554, ПСКА-563 (პროექტი 1400А) და სხე.

რუხვერში ირიცხება: № 143 ПСКР-723 და № 146 ПСКР-721 (პროექტი 205 П), № 135 ПСКР-104 „ტუაუსუკ“ და № 136 ПСКР-109 (პროექტი 133).

ბრიგადის დაქვემდებარებაშია სოჭ-ის საქვიალური სამსახურის ზომა-ღდებისა და კატარლების დიუზინი.



დევიზიონის შემადგენლობაში შემ-  
ნულია: „გრიფი“ (№639, №640,  
№652 და სხვ.), „სექტილიას“ პროექ-  
ტის №028 „სოჭი“ და №310 „ადლერი“,  
„მოლინა-2“ პროექტის №043 „ნო-  
ვოროსისისკი“, „ხობოლი“ — №911 და  
№912, „სოკოის“ პროექტის „ნიაბარ-  
სკი“ და სხვ.

საპატრულო კატარღები სოჭის  
რეზიდენციას „ბონარევი რუჩეის“  
ზღვიდან იცავენ, როცა რეზიდენციაში  
რუსეთის პრეზიდენტი იხვეწება ან ზღ-  
ვაზე იახტებით სეირნობის დროს ეს-  
კორტირებას უკეთებენ.

დევიზიონში საპატრულო კატარ-  
ღებთან ერთად იახტების მთელი ფლო-  
ტილია ირიცხება, რომელიც რუსეთის  
უმაღლეს სახელმწიფო ჩინოსნებს ემ-  
სახურება.

ფლოტილია საკმაოდ შიამბეჭდავად  
გამოიყურება. ყველაზე დიდია „კაკაზი“  
(წყალწვეა 220 ტონა, სიგრძე 45,5 მეტრი,  
სიჩქარე 35 კვანძი). 30 წლის წინ საბჭო-  
თა კომუნისტების პარტიის გენერალური  
მდიან ლეონიდ ბრეჯნევის შეკვეთით აგე-  
ბულ იახტას 2001-02 წლებში სანქტ-პე-  
ტერბურგში რემონტი-მოდერნიზაცია  
ჩატარდა, რისთვისაც დაახლოებით 2  
მილიონ 850 ათასი დოლარი დაიხარჯა.  
„კაკაზზე“ ოდნე პატარაა „მერკური“  
(წყალწვეა 70 ტონა, სიგრძე 27 მეტრი,  
სიჩქარე 38 კვანძი) და „პურფესტივი“ (68  
ტონა სიგრძე 23,7 მეტრი).

ბოლო წლებში დევიზიონს იახტა  
„ხოსტა“ (პროექტი 21600) და ორი წყ-  
ალქვეშა ფრთებიანი კატარღა  
„დელფინი“ (პროექტი 14620) დაემატა.  
„ხოსტა“ (წყალწვეა 85,2 ტონა, სი-  
გრძე 29 მეტრი, სიჩქარე 24-25 კვანძი)

საპატრულო კატარღა „გრიფი“  
(პროექტი 1241.2 „სეგტილიასი“)



სოჭის პორტი — საპატრულო  
კატარღა „სოჭი“ და იახტა „მერკური“



თმის გაღანარგვის კლინიკა

**თალიზი**



განკუთვნილია უცხოეთის ქვეყნების  
დელეგაციებთან თუ კრძო პირებთან  
შეხვედრა-მოლაპარაკებებისათვის,  
მოფერობის წვერებისა და მათი ოჯახ-  
ის წვერების დასვენებისათვის.

წყალქვეშა ფრთებიანი „დელფინი“  
(წყალწვეა 3,6 ტონა, სიგრძე 10,1 მეტრი,  
სიჩქარე 32 კვანძი) სამსახურებრივი-  
სასეირნო დანიშნულების კატარღაა.

„ხოსტა“ დაახლოებით 16 მილიონ  
400 ათასი დოლარი, ხოლო „დელფინი“  
— კი 1 მილიონ დოლარზე ცოტა მეტი  
დღის.

მომავალ წელს სოჭის დევიზიონს  
ახალი საპატრულო მცურავი საშუ-  
ალებები და საპრეზიდენტო იახტები  
უნდა დაემატოს.

თეიმურ ჩაჩანიძე

# საზღვაო-საარტილერიო ავტომატური დანადგარები



14,5 88-იან ტყვიამფრქვევის ტუმბური საზღვაო დანადგარი МТПУ

უახლოეს წლებში შვე ზღვაში რუსული სანაპირო დაცვის მცურავ საშუალებათა დიდ ნაწილს „სობოლებს“ და „მანგუსტის“ პროექტის კატარღები დაიკავებენ.

შემკვეთის მოთხოვნით, „სობოლებს“ შეიძლება აღიჭურვოს 30 მმ-იანი ავტომატი AK-306-ით ან მაღალი სიზუსტის მრავალმხრივი დანიშნულების საზენიტო სარაკეტო-საარტილერიო კომპლექსი **Вихрь**-ის 4 რაკეტით, ან ორი 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევით, ან შუქვეილებული 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევის ტუმბის დანადგარით.

შვე ზღვაში ახალი „სობოლები“, ჯერჯერობით, მხოლოდ შუქვეილებული 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევის ტუმბურ საზღვაო დანადგარ МТПУ-ს ატარებენ. „სობოლზე“ წყალწვევითა და ზომებით პატარა „მანგუსტზე“ ერთლულიანი КПВТ ტყვიამფრქვევის ტუმბური საზღვაო დანადგარია დაყენებული.

დანადგარი МТПУ ვლადიმიროვის 14,5 მმ-იანი მსხვილკალიბრიანი სატანკო ტყვიამფრქვევის КПВТ-ს ბაზაზე შექმნილი.

ტყვიამფრქვევის სროლის ტემპი

წუთში 550-600 გასროლას აღწევს, ხოლო დამიხნების სიმორე პორიზონტალური მიმართულებით 2000 და სიმაღლეში კი 1500 მეტრია.

სროლისათვის სხვადასხვა სახის ვაზნა გამოიყენება. მაგალითად, 14,5 მმ-იანი 5-32 ტიპის ჯგუშანმხერვტი-ცეცხლამწევი ტყვია 800 მ მანძილზე 90-გრადუსიანი კუთხით მოხვედრისას 20 მმ-იან ჯგუშანს, ხოლო 30-გრადუსიანი კუთხის დროს კი — 13 მმ-იან თავისუფლად ხვრეტს.

შეღებობით დიდი წყალწვევის „სოკვის“ შეიარაღებაში 30 მმ-იანი ექვს-ლულიანი ავტომატი AK-306 შუდის, რომელიც ეკაპაეს საშუალებას აძლევს ებრძოლოს პატარა ზომის წყალზედა სამიზნეებს, დაცხროლოს მიტეიტევე ნაღებში, მოიგერიოს თვითმფრინავებისა და შეუუღმერენების თავდასხმები, გაანადგუროს ნაპირზე ხილვადი საცეცხლე წერტილები და თავმოყრილი ცოცხალი ძალა.

ავტომატი საბჭოთა ფლტმა შეიარაღებაში 1980 წელს მიიღო. მისი ტექნიკური მახასიათებლებია: სროლის სიმორე პორიზონტალური მიმართულებით 8,1 სიმაღლეში კი 5 კილომეტრია. სროლის ტემპი წუთში 600-1000 გასროლას შეადგენს.

AK-306 წინამორბედი AK-630-ის საფუძველზეა შექმნილი და გარეგნუ-

20 88-იანი საარტილერიო დანადგარი Mk15 Phalanx CIWS



ლად ორივე სისტემაში განსხვავება ითქმის არ შეიძლება, მაგრამ ბევრი კონსტრუქციული სახელა აქვს და რაც მთავარია, წინით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება და პატარა წყალწვევის კატარღებზე გამოყენების საშუალებას იძლევა.

დანადგარი მრავალლულიანი იარაღია ლულები მრავალეტი ბლოკით, რომელიც კეებისათვის გარეშე ელექტრულ წყაროს იყენებს. სროლის ტემპის მნიშვნელოვანი შემცირებით წელის გაგროვების სისტემაზე უარი ითქვამს და ლულები პაეის საშუალებით ციფდება. ცეცხლი რადარიდან დისტანციურად ცეცხლის მართვის ხელსაწყოების გამოყენებით იმართება.

დანადგარში გამოყენებულმა ალუმინისა და კომპოზიტური ფოლადის შენადნობებმა და პლასტმასმა მასა 1,58 ტონამდე შეამცირა.

„სეგტლიაკის“ 10410 პროექტის კატარღები მრავალმხრივი დანიშნულებით შენდებოდა და შეიარაღებულ მრავალფუნქციურ აქვს: ცხრივის 76,2 მმ-იანი AK-176M საარტილერიო დანადგარი, კილის 30 მმ-იანი AK-630M ავტომატი, ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსი ИРЛ-ის 16 ერთეული, წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველი ორი 406 მმ-იანი სატორპედო აპარატი ОТА-40А-2, დიფერსანტების საწინააღმდეგო უკუმბარსატორენეტი МРГ-1 ან ДП-64.

საზღვაო, საპაერო თუ სახმელეთო სამიზნეობთან ბრძოლისთვის „სეგტლიაკი“ 76,2 მმ-იანი საარტილერიო დანადგარს იყენებს. დანადგარს თავისი რადარი აქვს, რომელიც რადიოლოკაციური მდგომარეობის მიღება-გამოსაზვას, სროლისათვის მონაცემთა გამომუშავებას და სამიზნის ავტომატურ თანხლებას უზრუნველყოფს.

ცეცხლის მართვა კომპლექტური ოპტიკურელექტრონული სისტემის გამოყენებითაც შესაძლებელია.

AK-176M-ით წუთში 120 გასროლა კეთდება. სროლის სიმორე საზღვაო-სახმელეთო სამიზნეებზე 15,7 კმ, ხოლო საპაერო სამიზნეზე 13 კილომეტრია.

მოთელი რიგი საინტერესო და ორიგინალური ტექნიკური გადაწყვეტებით გამოირჩევა უკვე მოხველუ-

ბული 30 მმ-იანი ექვსლულიანი ავტომატი AK-630.

ავტომატის მუშაობასა და მზრუნველობაში მოთხოვნილი ლულების განუწყვეტელი ტრალს ენერჯის საკუთარი წყარო — გასროლებიდან გამოყოფილი დენითის გაზები უზრუნველყოფს.

AK-630 წუთში 5 ათასი გასროლის გაკეთებას ასრულებს, რაც ლულების გადატვირთვას იწვევს და გაცხელების სისტემას საჭიროებს. ამ დანიშნულებას კი ლულებსა და ლულების გარსამოს შორის მუდამე ცირკულაციაში მყოფი დისტრიბუციური წყალი ან ანტიფრინი ასრულებს.

დამიზნებისათვის საჭირო რადარი სროლის ღერძიდან მნიშვნელოვანი მანძილით არის დაცილებული და სუსტი მახასიათებლები აქვს, ამის გამო AK-630 სროლის დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა.

დანადგარის მასა 3,8 ტონას აღწევს, სროლის სიშორე საზღვაო-საზღველო სამიზნეზე 8,1 კმ, საჰაერო სამიზნეზე კი 5 კილომეტრია.


„ხვეტლაკების“ მოდერნიზებულ 10412 პროექტში საბაზოსაგან განსხვავებით შეიარაღება მნიშვნელოვნად შეიცვალა. საშუალო კალიბრის არტილერიაზე საბოლოოდ უარი ითქვა. კატრლის ცხვრისა და კიონზე 30 მმ-იანი AK-306M-ის ავტომატები, ხლო ბორტებზე კი შექვეილებული 14,5 მმ-იანი ტყვიამურევეების ტუბური დანიადგარები განთავსდა.

რუსები 30 მმ-იანი ავტომატებით თავს იწონებენ და დიდ რეკლამასაც უყვებიან, მაგრამ AK-630 მთელი რიგი მახასიათებლებით ამერიკულ ანალოგს, 20 მმ-იან Mk15 Phalanx CIWS-ს მაინც ჩამოუყარდება.

1980 წლის აპრილში პირველი „ფლანქსით“ აღჭურვილი ავიამზიდი CV-43 Coral Sea გამოჩნდა და მას შემდეგ ფრეგატებიდან მოყოლებული ყველა ამერიკული წყალზედა ხომალდის შეიარაღებაში საშტატო ადგილი დაიკავა, როგორც ახლო მანძილებზე ხომალდსაინააღმდეგო რაკეტებთან, მცირე ზომის, მანევრულ და სწრაფ საჰაერო-საზღვაო სამიზნეებთან ბრძოლის ერთ-ერთმა ეფექტიანმა საშუალებამ.

„ფლანქსის“ შემადგენლობაში შედის საბრძოლო მოდული Mk16, საბრძოლო მოდულის მართვის გამოსატანი პულტი Mk339 და დამორბეული პოსტიდან კომპლექსის დისტანციურად მართვის გამოსატანი პულტი Mk340.

გატლინგის სქემით მომუშავე ავ-



76,2 მმ-იანი საარტილერიო დანიადგარი AK-176M

ტომატური სწრაფსროლიანი ექვსი 20 მმ-იანი M61 Vulcan-ის ტიპის ქვეები M61 Vulcan როტორზე დამატებული და ლულების საზაზინო ნაწილი უმნიშვნელო კუთხით როტორის ცენტრისკენ არის გადახრილი.

როტორს ელექტრული ამძრავი ატრიალებს და სროლისაგან გაცხელებულ ლულებს პაერი ავარობებს.


„ფლანქსი“ დაზურული კონტურისა და მთლიანად ავტომატიზებული საბრძოლო კომპლექსია. რადიოკამპეროვალე თაღფაქის ქვეშ მოთავსებული სამიზნის აღმოჩენა-თანხლების რადარები და ცეცხლის მართვის სისტემა სამიზნის მზენას, აღმოჩენას, თანხლებას, საშიშროების შეფასებას, დამიზნებას,

ცეცხლის კორექტირებას, შედეგების შეფასებას და ცეცხლის შეწყვეტას ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს.

„ფლანქსის“ რეაქციის დრო 2-3 წამია და გავრდების გარეშე 30 წუთის განმავლობაში ისვრის. მოდიფიკაციის მიხედვით წონა 5,7-დან 6,2 ტონამდე, ხოლო სროლის ტემპი წუთში 3000-4500 გასროლას აღწევს. სროლის სიშორე პაერში 4,7 კილომეტრს შეადგენს.

საზღვაო-საარტილერიო ავტომატური დანიადგარების მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები იმის მანქნებლია, რომ ეს სისტემები საზღვაო შეიარაღებაში კიდევ დიდხანს დარჩება.

თეზურ ჩაჩანიძე



30 მმ-იანი საარტილერიო დანიადგარი AK-306



„არსენალი“ იწვევს ახალ რუბრიკას, რომელშიც მოდისა და სტილზე, მამაკაცის სხვადასხვა აქსესუარზე მოგიტორობთ... მართალია, ცხოვრების გასამხედროებელი წესი ბევრ რამეზე უარის თქმას გვაიძულებს, მაგრამ სულ ყაზარმებში ხომ არა ვართ... ამასთან „არსენალის“ მეთვალყურე დიდი ნაწილი სულაც არ არის სამხედრო მოსამსახურე... სახედონეროდ, ბევრი მოზარდია დაინტერესებული სამხედრო საქმიანობით და მწერი ფურნალით, ვფიქრობთ, მათთვის საინტერესოც და საჭიროც უნდა იყოს ეს თემა...



# პერანგი...

პერანგის სტილმა შეიძლება ბევრი რამ თქვას თვის მფლობელზე, — მის ღირსებებზე და ნაკლოვანებებზეც. მოვარია, მამაკაცი სტილს გრძობდეს. თქვენი რეპუტაცია იმაზე დამოკიდებული, რამდენად შეესაბამება მოდის ტენდენციები თქვენს საქმიან კოსტიუმს და, პირველ რიგში, პერანგს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ევროპელმა და ამერიკელმა დიზაინერებმა ნამდვილი საოცრება შექმნეს — პერანგი კონტრასტული ფერის საყვლოთი და მანქეტებით. იმ დროისთვის საოფისე დრეს-კოდი ვერ კიდევ მოკრძალებული იყო, ამიტომაც ახალი სტილის დამკვიდრებამ თითქმის რეკლუცია მოახდინა მოდის სამყაროში. ფერადი პერანგი, თუთი თუ შუი საყვლოთი და მანქეტით (ან, პირიქით) მართლაც რომ მოკლადნეული სახელე აღმოჩნდა... თუმცა, 90-იანი წლებიდან ეს სტილი მოდიდან გადავიდა და მისი ადგილი ზოლიანმა პერანგებმა დაიკაო.

XXI საუკუნეში დიზაინერთა გეგმონება კვლავ შეიცვალა და ერთი ფერის პერანგები კვლავ მოდური გახდა. დღეს უკვე აქტუალურია პერანგი, რომელსაც ორი ტონით მუქი მანქეტები და საყვლო აქვს.

რაც შეეხება საყვლოს ფორმას... ძალზე მოდურია გადაკეცილი საყვლო ფართო კუთხეებით, რომელთა წვერე-



ბი თავად პერანგს არ ეჭება. ამ სტილს „ვარნოს“ უწოდებენ, ხოლო „კნტის“ სახელით ცნობილი საქუთხა საყვლოს კლასიკური ვარიანტი მეორე პოზიციანზე რჩება და ადვილს უმოძის „ვარნო-პერანგებს“, რომლებიც კარგად ეხამება არა მარტო საქმიან პიჯაკს, არამედ სეიტერებსა და პოლოფერებსაც.

რაც შეეხება ტანზე გამოყვანილ ინკლისური სტილის კლასიკურ პერანგს, დღეს იგი ძალზე აქტუალურია. ამ სტილს Slim Fit-ს უწოდებენ. ვიწრო

პერანგი მხოლოდ საყვლოსა და მანქეტების მიდამოებთან ფართოვდება. იგი ადვილად შევდილით ჩაბტხითი შარვაში ისე, რომ ქამარს არ მოუშვათ მათი უპირატესობა შეუფასებელია თბილ სეზონზე, — როცა პიჯაკს გაიხდით, თავს ყოველთვის კომფორტულად უგრძობთ, ასეთი პერანგი ზურგზე ნაკეცებს არ ტოვებს.

პერანგის ფერი აუცილებლად უნდა ჯამბოლეს პიჯაკის ფერს, მინიმუმ, ნახევარი ტონით მაინც უნდა იყოს ღია. ერთადერთი გამონაკლისია შუი პიჯაკი, რომელსაც შევდილით ნებისმიერი ფერი შეუხამოთ... იმ შემთხვევაში, თუკი შარვალიც შუი გაცვიათ, დამიხსურეთ

ბამბის პერანგები ძალიან სასიამოვნო სატარებელია, მაგრამ — ცუდი დასუთოებელი. სინთეტიკისა და ბამბანარევი ქსოვილისა კი გასარეცხად ადვილია და დასუთობლად, არც ფერს იცვლის და არც იჭიმუჭნება, მაგრამ ზაფხულში პერანგს ნაკლებად ატარებს და დისკომფორტს ქმნის. ტრიკოტაჟის ნაწარმი კარგად ირეცხება და არც დაუთოებას საჭიროებს, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ძალე იწვლება.

სტილისტები ღია ფერის კანის მქონე მამაკაცებს არ ურჩევენ მწვანე, ყვითელ, ნაცრისფერ პერანგებს. საყვლო აუცილებლად მომდგარი უნდა იყოს, კისრის ზომამზე, ნაკეცების გარეშე, როცა ზედა დილს შეიკრავთ, დაშორება საყვლოსა და კისრის შორის ერთ სანტიმეტრს უნდა უდრავდეს.




# ქამარი...

ქამრის ფერი პარმონიულად უნდა ერწყმოდეს ფეხსაცმლის ტონს. ამ შემთხვევაში ტრადიციული ფერთა გამა უფრო გამართლებულია — შავი, მუქი ყავისფერი ან ნაცრისფერი. სხვა ფერთან შეხამება შედარებით რთულია, ამიტომ აჯობებს, მოერიდოთ. თუკი თქვენი ყოველდღიური სტილი ბოტასი ან კედაა, მაშინ სასურველია ქსოვილის ქამრის ხმაარება. ამ შემთხვევაში უარს თქვით ტყავის ქამარზე. არ დაგავიწყდეთ, რომ ქამარი, მისი უშუალო დანიშ-



ნულების გარდა, მოხერხებული კაცის ხელში თვდაცვით, საერიზო ან სამაშველო იარაღადაც შეიძლება იქცეს. მისებრალიანი ტყავის ქამრით საქმალ კარგად შეიძლება თვის დაცვა, მაგრამ ხელი თუ არ გაიწაფო, შეიძლება საკუთარი თავიც დაზარალოთ და გვერდით მდგომებიც.

როგორც მიხვდით, ქვედა სურათზე გამოსახული ქამარი ვერმასტის უნიფორმის ნაწილია. ამ ქამრის დიზაინი, ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული სამხედრო უნიფორმის დიზაინიც, უზერებელ პუტო ბოსს ეკუთვნის...





## არსენალის დროი

თუკი შეეცადოთ საათები ზოგადად საათების ხარისხის უტალიონად მიიჩნევა, მაშინ Breguet-ის ფირმის საათებს თამამად შეიძლება უწოდოთ შეეცადოთ საათების უტალიონი. კომპანია Breguet-ი უნიკალური შექანისმების გამოიმკონებელმა და გენიალურმა კონსტრუქტორმა აბრამ ლინკოლ ბრეგეტ 1775 წელს დააარსა. აბრამ ბრეგეტ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საათების ოსტატად ითვ-

ლება. კომპანიის კლიენტები იყენებ ცნობილი პერსონები: დღეოფალი მარია-ანტუანეტა, ნაპოლეონ ბონაპარტი, უელსის პრინცი, რუსეთის მეფე ალექსანდრე პარველი, სერ უინსტონ ჩერჩილი...

1998 წელს კომპანია Breguet-ი შეიძინა Swatch Group-მა, ხოლო სამი წლის წინ კომპანია აქტიურად შეუდგა ნაწარმის მოდერნიზებას.

ამ ფირმის საათები სხვადასხვა მახასიათებლით გამოირჩევა. არის კლასიკური მექანიკური საათები მიფარის კალენდრით, დამატებითი სულის ინდიკატორით, მალეიძარათი და სხვა მრავალი ფუნქციით. პლატინისა და საფორინისაგან აქწობილი ორტურბინიანი მექანიკური საათები, თიური ოქროსგან გაკეთებული ავტომატური მოდელები, რომლებიც აღმასებითა და ბრილიანტებითაა გაფორმებული. ბრეგეტს საათებს სამაფურებიც კი გამოირჩეული აქვს — ძირითადად, ნიანგის ტყავისა...



# არსებულვოროდი

					1		2		3		4		5
6													
7													
8			9		10								11
13										12			
16										14		15	
			18		19					17			
21						22			23				
25					24								
28						26			27				
30													

**თარაზულად** 6. მხოთ-ეისინის მოდ-ელი; 7. იტალიური პისტოლეტი; 8. ბელ-გორი პისტოლეტი; 12. ალექსანდრე მაკ-დონელის მამა; 13. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, აშშ-ს პრეზიდენტი 1825-29 წწ.; 14. ფრანგული პისტოლეტი; 16. ლგენარული რუსული კრეისერი; 17. „ნისანის“ მოდელი; 18. საეციალური ადგილი იარაღის მიზანში სროლაში გარეშისათვის; 20. ქალაქი აშშ-ში, ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო პორტი წყნარ ოკეანეში; 21. რუსული თვითმფრინვე-ლის მარკა; 22. იაპონური რეოლეკერი; 24.

ბუნებრივი წყალსაცავი; 25. ამერიკული სა-რაკეტო ატომური წყალქვეშა ნავების ტიპი; 26. პროლეტარიატის ბელადი; 28. რეჟული საზოგადოება; 29. შეხვედრა უძალეს დონ-ეზე; 30. ამერიკული პისტოლეტი.  
**შეშულად** 2. საშუალო საშუალო სას-წვლელის მოსწველე მეფის რუსეთში; 2. ქვეყანა, რომელიც დამპყრობილია იმპერიალ-ისტური ქვეყნის მიერ; 3. ოფიცის უძალ-ელეს წოდება; 4. ზღვაში მცურავი ყინულის მთა; 5. ნატოს საპაერო-სამხედრო ძალების აეროდრომი თურქეთში; 6. მონადირე ძაღლ-

ის ჯიშ; 9. ამერიკული პისტოლეტ-ტყე-ვამფრეკვი; 10. ბრიტანული საშუალო-სა-ტრანსპორტო თვითმფრინველი; 1. ბელადობა, ბატონობა; 15. ესპანური პისტოლეტის „სტარს“ მოდელი; 18. ესპანური პისტოლე-ტის „კამანოსის“ მოდელი; 19. ესპანური პისტოლეტი; 20. რუსული საშუალო თვით-მფრინველი; 22. ამერიკული მსხვილკაღ-ბიანი რეოლეკერი; 23. პარიზის აეროპორ-ტი; 25. გერმანული ავტომობილი; 27. ჩრდილ-ოატლანტიკური საშუალო-პოლიტიკური აღიანის.

გურნლის წინა ნომრში გამოქვეყნებული „არსებულვორდის“ პასუხები: **თარაზულად**: 5. ცენტურიონი; 6. ბრიგანტინი; 7. პარტიზონი; 10. ქარქაში; 13. ლონონი; 14. ასა; 15. ან; 16. რამაია; 18. გულადი; 19. ხონი; 29. რუმორა; 21. მი; 2. ოირა; 24. ვიაცია; 25. კადისი; 27. ტატრა; 28. ლევი; 29. აპოლონი; 30. ალიბი; 31. ოუბა. **შეშულად**: 1. კეპრელი; 2. ყუმბარა; 3. მორტარა; 4. სინდისი; 7. კელფინიტი; 8. ტრაბი; 9. ოტოგარდი; 11. რასმუსენი; 12. მტანდარტი; 17. პანკრატონი; 21. მაკაროვი; 23. ნიკე; 26. იბერია; 27. ტიარა; 28. ლილი.

# „სეცსლისეფრქვეველი“

## ბელგიური ავტომატური გეშანა FN FNC



20 წლის განმავლობაში ეს საიერიშო შაშხანა ისე არავის დახსომებია, როგორც პოლეთუდის მძაფრსიუჟეტინი მხატვრული ფილმის „შერკინება“ გმირებს — ალ პაჩინოს პოლიციელი გმირი რობერტ დე ნიროს დაზნაშკვე გმირის ჯგუფს სწორედ ამ ბელგიური საიერიშო შაშხანით (უფრო სწორად, მისი დამოკლებულულიანი და დასაკეცინდაზიანი ვარიანტით — FN FNC Para) ლოს-ანჯელესის გამეღლელებითა და ავტომანქანებით გადაჭვილი ქუჩაში გამანადგურებელ ცეცხლს უხსნის...

ეს არცთუ ისე ცუდი ბელგიური საიერიშო შაშხანის FN FNC საუკეთესო-

**ალ პაჩინოს გმირმა ამ FN FNC Para-თი ლოს-ანჯელესის ქუჩებში ბანკის მპარსველ რობერტ დე ნიროს თანამოსაქმეებს შავი ღვ აყარა...**

სო რეკლამა გაზღდათ და ვინ იცის, ეს ფილმი ორი ათეული წლის წინ რომ გადაეღოთ, როდესაც FN FNC-ი თავის კარიერას იწყებდა, იგი შეიარაღებაში შეიძლება უფრო მეტ ქვეყანას მიეღო. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ 1978 წელს გამოშვებულ გამძლე და საიმე-

დო საიერიშო ავტომატური შაშხანა FN FNC შეიარაღებაში თავად ბელგიის არმიამ მიიღო, ხოლო მისი მოდიფიკაციების წარმოება საკუთარი არმიებისთვის მხოლოდ ორმა ქვეყანამ — შვედეთმა (Bofors/Karl Gustaf AK-5-ის სახელწოდებით) და ინდონეზიამ (Pindad



შვედი  
სამხედროები  
დასვენების  
დროს



**ჩვენი დონი:** სინგაპურული Pindad SS2-ის სიგრძე გახსნილი კონდახით 990 მმ-ია, დაკეცილით 740 მმ. ლულის სიგრძე 460 მმ-ს აღწევს, მასა კი 3,4 კგ-ს შეადგენს. სროლის ტემპი წუთში 700 გასროლას აღწევს. მჭიდში 30 ცალი 5,56 მმ კალიბრის ვაზნა ჩადის.

SS1-ის (სახელი) დაწყო. ბელგიელ მეიარაღეებს სანუგეშოდ ისღა დარჩენოდათ, რომ FN FNC-ის სხვადასხვა მოდიფიკაცია ექსპორტით აშშ-ი იქაური საპოლიციო დანაყოფებისთვისაც იგზავნებოდა (აი, საიდან აღმოჩნდა ლოს-ანჯელესის

**ჩვენი დონი:** შვედური საიერიშო შაშანის AK-5B სიგრძე გახსნილი კონდახით 1008 მმ-ს შეადგენს, მასა — 3,9 კგ-ს. სროლის ტემპი წუთში 650 გასროლაა.

პოლიციელ ალ პაჩინოს გემირს ზეღში შორეულ ბელგიაში აწყობილი იარაღი).





**ჩვენი ღმრთი:** ბელგიური საიერიშო შაშხანა FN FNC 4,06 კგ-ს იწონის, ხოლო პარაშუტიც ტეხისთვის განკუთვნილი მოდელი FNC Para კი 3,81 კგ-ს. FNC-ის სიგრძე 997 მმ-ია (დაკეცილი კონდახით 776 მმ), ხოლო ლულის სიგრძე კი 449 მმ. Para-ს მოდელის სიგრძე დაკეცილი კონდახით მხოლოდ 680 მმ-ია, გახსნილით 911 მმ, ლულის სიგრძე 363 მმ-ს შეადგენს. სროლის ტემპი წუთში 650 გასროლას უტოლდება.

თბილი ხელთათმანიაც შეძლოს სასხლეტის გამოწვევა.

სხვათა შორის, შეუძლებს ბელგიელებზე მეტი ფხა გამოიწიეს და შე-20 საუკუნის ბოლომდე ვენსუელას 100 ათასამდე AK-5 მიჰყვიდეს.

ინდონეზიაში ბელგიური FN FNC-ის ბაზაზე ლიცენზირებული Pindad SS1-ის წარმოება დაიწყო, რომელიც 2005 წელს გაუმჯობესებული SS2-ით შეცვალა.

**ირაკლი ალადაშვილი**

ბელგიური FN FNC-ს ჩანს იმიტომაც არ გაუმართლა, რომ 80-იან წლების ბოლოსთვის ავტომატური საიერიშო შაშხანების ბაზარი გადაჯერებულ იყო, ძირითადად, ამერიკული M16-ებთან თუ საბჭოთა AKM-ებით და ბელგიური ანალოგისთვის ადვილი აღარ მოიხანა.

შვედეთში ლიცენზიით წარმოებული AK-5 ბელგიური FNC-ისგან იმით განსხვავდება, რომ გაუქმებული აქვს სამკასროლიანი რეჟიმი და დატოვებულია მხოლოდ ერთჯერადი და ავტომატური რეჟიმები. შეცვლილა სასხლეტის გარსამოცის ფორმა, რათა ბელგიანზე ბევრად უფრო ცივ შვედეთში ჯარისკაცმა

**ინდონეზიელი ჯარისკაცი მოკლელულიანი Pindad-ით**





საქართველო



AK-5B

ISSN 1987 - 5061



9 771987 450607